

სამოქალაქო სექტორის ზედამხედველობა

უსაფრთხოების სექტორსა და გენდერზე

კარენ ბარნსი და პიტერ ალბრეხტი

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ავტორების შესახებ

კარენ ბარნსი და პიტერ ალბრეხტი ორგანიზაციიდან International Alert.

International Alert ლონდონში დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც 20 წელზე მეტია მოღვაწეობს ძალადობრივი კონფლიქტით დაზარალებულ თემებში მშვიდობისა და უსაფრთხოების საფუძვლის ჩამოყალიბებისათვის. ორგანიზაციის მრავალსაფეხურიანი მიდგომა ფოკუსირებულია სხვადასხვა რეგიონებზე და მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე; მისი მიზანია სამშვიდობო საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბება, ასევე ტრენინგების მეშვეობით უნარების გაძლიერება და შესაძლებლობების გაზრდა.

International Alert რეგიონალურ საქმიანობას ახორციელებს აფრიკის დიდი ტბების რეგიონში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ კავკასიაში, ნეპალში, შრი-ლანკაში, ფილიპინებსა და კოლუმბიაში. ორგანიზაციის თემატური პროექტები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება და მდგრადი მშვიდობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო საერთო საკითხებისკენაა მიმართული. ეს საკითხები მოიცავს ბიზნესს, ეკონომიკას, გენდერს, მმართველობას, დახმარებას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას.

რედაქტორები

მეგან ბლასტიკი და რისტინ ვალასეკი, DCAF

სამადლობელი

გვინდა მადლობა მოვუხადოთ შემდეგ ადამიანებს ამ დოკუმენტის შესახებ მნიშვნელოვანი კომენტარებისათვის: შერონ ბაგვან-როლსი, მარინა პაკარინი, სემ ქუქი, ლეიმა გბოვი, გიჯი გია, ფრენკ კამუნგა, ნიკ კილიკი, მინა ლიტიკაინენი, ელისაბედ პორტერი და UN-INSTRAW. გარდა ამისა, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბენკამინ ბაქლენდს, ენტონი დრამონდსა და მუგიო ტაკესიტას მათი დახმარებისათვის რედაქტირების პროცესში, და ანია ებნოტერს პროექტის განხორციელების დროს მისი დახმარებისათვის.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ეს დოკუმენტი, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგი და გენდერი *გენდერული და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს* ნაწილს წარმოადგენს. მისი დანიშნულებაა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერული საკითხების შესახებ პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემქმნელებისათვის პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებაა. სახელმძღვანელო შემდეგ 12 დოკუმენტსა და შესაბამის პრაქტიკულ მითითებებს მოიცავს:

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. მართლმსაჯულების რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

DCAF, OSCE/ODIHR და UN-INSTRAW სახელმძღვანელოს შექმნისათვის მადლობას უცხადებენ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

DCAF

ჟენევის შეიარაღებული დემოკრატიული კონტროლის ცენტრი (DCAF) და კარგ მმართველობასა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმას უწყობს ხელს. ცენტრი იკვლევს არსებულ კარგ პრაქტიკას, ხელს უწყობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბებას, ქმნის რეკომენდაციებს პოლიტიკისათვის და ქვეყნებს სთავაზობს რჩევებსა და დახმარების პროგრამებს. DCAF–ს პარტნიორული ურთიერთობები აქვს მთავრობებთან, პარლამენტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უსაფრთხოების სექტორის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორცაა პოლიცია, სასამართლო, სადაზვერვო სამსახურები, საზღვრის დაცვის სამსახურები და სამხედრო ძალები.

OSCE/ODIHR

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) ეუთოს მთავარი დანაყოფია ადამიანური განზომილებისა და უსაფრთხოების კუთხით: ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვას, დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას, სადაც ყურადღება ეთმობა არჩევნებს, ინსტიტუტების მშენებლობასა და მმართველობას. მის ფუნქციებს ასევე კანონის უზენაესობის გაძლიერება, ადამიანებსა თუ ქვეყნებს შორის პატივისცემისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბება

წარმოადგენს. ორგანიზაციამ თავისი წვლილი შეიტანა მოცემული სახელმძღვანელოს მომზადებაში.

UN-INSTRAW

გაერთიანებული ერების ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (UN-INSTRAW) გაეროს ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია კვლევითი პროგრამების ჩამოყალიბება ქალების გასაძლიერებლად და მსოფლიოს მასშტაბით გენდერული თანასწორობის მისაღწევად. გაეროს წევრ ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, აკადემიურ დაწესებულებებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა მხარეებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებით ორგანიზაცია:

- ახორციელებს ქმედებაზე დაფუძნებულ კვლევას გენდერული პერსპექტივით, რასაც კონკრეტული ზეგავლენა აქვს პოლიტიკაზე, პროგრამებსა და პროექტებზე;
- ქმნის წარმატებულ ურთიერთობებს ცოდნის მენეჯმენტისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- აძლიერებს ძირითადი პარტნიორების შესაძლებლობებს გენდერული პერსპექტივის პოლიტიკაში, პროგრამებსა თუ პროექტებში ჩასართავად.

Cover picture © Keystone, EPA, Kim Luderbrook, 2003.

© DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW, 2008.

All rights reserved.

ISBN 978-92-9222-074-7

ციტირება: Karen Barnes and Peter Albrecht. "Civil Society Oversight of the Security Sector and Gender." *Gender and Security Sector Reform Toolkit*. Eds. Megan Bastick and Kristin Valasek. Geneva: DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW, 2008.

Printed by SRO-Kundig.

სარჩევი

აკრონიმები.....vii

1. შესავალი..... 1

2. რა როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოება უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში? 2

2.1. რა არის სამოქალაქო საზოგადოება?..... 2

2.2. როგორ არის სამოქალაქო საზოგადოება ჩართული უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში?..... 2

2.3. რა გამოწვევები არსებობს სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ჩართულობის კუთხით? 4

3. რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული საკითხების გათვალისწინება სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის დროს? 6

3.1. ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების გაძლიერება 7

3.2. ეფექტური და გააზრებული ზედამხედველობის მექანიზმები გენდერული საკითხების ინტეგრაციის პროცესისათვის 9

3.3. გაძლიერებული ზედამხედველობა ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვით..... 10

4. როგორ შეიძლება გენდერული საკითხების ინტეგრაცია უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო ზედამხედველობაში?..... 12

4.1. უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოები 13

4.2. კვლევა და მონაცემთა შეგროვება 17

4.3. გენდერული აუდიტი..... 20

4.4. გენდერული საბიუჯეტო ანალიზი..... 21

4.5. ადვოკაცია და ცნობიერების ამაღლება 22

4.6. მედიასთან მუშაობა..... 29

4.7. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის 31

4.8. ქალთა ორგანიზაციები 36

4.9. სამოქალაქო საზოგადოებრივი ქსელი 41

4.10. გენდერულად სენსიტიური სამოქალაქო სამართლებრივი ორგანიზაციები 42

5. სპეციფიკურ კონტექსტში განხორციელებულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობაში გენდერული საკითხების ინტეგრაცია	43
5.1. კოფლიქტის შემდგომი ქვეყნები	44
5.2. განვითარებული ქვეყნები	50

აკრონიმები

APG	Associate Parliamentary Group (UK)	ასოცირებული
	საპარლამენტო ჯგუფი, დიდი ბრიტანეთი	
CSOs	Civil Society Organisations	სამოქალაქო
	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	
EP	European Parliament	ევროპული პარლამენტი
EU	European Union	ევროკავშირი
GAPS	Gender Action for Peace and Security	გენდერული
	მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის	აქცია
GBV	Gender-Based Violence	გენდერული ძალადობა
NAP	National Action Plan	ერვნული სამოქმედო გეგმა
NGOs	Non-Governmental Organisations	არასამთავრობო
	ორგანიზაცია	
SEA	Sexual Exploitation and Abuse	სქესობრივი ექსპლუატაცია
	და შეურაცხყოფა	
SSR	Security Sector Reform	უსაფრთხოების სექტორის
	რეფორმა	
STIs	Sexually Transmitted Infections	სქესობრივი გზით გადამდები
	ინფექციები	
WIPNET	Women in Peacebuilding Network	ქალთა სამშვიდობო ქსელი
WOZA	Women of Zimbabwe Arise	ზიმბაბვეს ქალები
WRC	White Ribbon Campaign	თეთრი ბაბთის კამპანია
UN	United Nations	გაერთიანებული ერების
	ორგანიზაცია	
UN SCR 1325	United Nations Security Council Resolution 1325 on women, peace and security	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე

1. შესავალი

ეს დოკუმენტი სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის პროცესში გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას წარმოგვიდგენს და პრაქტიკულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს მოიცავს. სამოქალაქო საზოგადოებას უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში სხვადასხვა სახის წვლილის შეიტანა შეუძლია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მექანიზმების გამოყენებით. გენდერული საკითხების გათვალისწინებისა და ქალებისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების სრული ჩართულობით ეს მექანიზმები კიდევ უფრო მონაწილეობითი და მრავლისმომცველი ხდება. გენდერული საკითხების გათვალისწინებით სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებასა და უსაფრთხოების სექტორის პასუხისმგებლობას მოსახლეობის ყველა წევრის დასაცავად.

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტურად მართული უსაფრთხოების სექტორი დემოკრატიული პროცესების მთავარი საყრდენია. სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ზედამხედველობა ამ ღირებულებების რეალიზების მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ მოსაზრების გამოთქმასა და პოლიტიკის შემქმნელებისადმი მათ მიწოდებას უზრუნველყოფს. იგი ექსპერტულ ცოდნას აწვდის და მონიტორინგას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს. არასათანადოდ რეგულირებული ან არაანგარიშვალდებულ უსაფრთხოების ძალებს უფრო მეტი დაუცველობის გამოწვევა და რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა შეუძლიათ. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კარგი მმართველობის კუთხით განხორციელებულ ძალისხმევას. გარდა ამისა, არადემოკრატიულად მართული უსაფრთხოების სექტორის გამოყენება ადვილად შეიძლება პარტიზანული მიზნებისათვის, ან სახელმწიფოს მიერ მონოპოლიის განხორციელებისათვის.

უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის, სტრუქტურების, პროგრამების, ქმედებებისა და რეფორმის პროცესის ზედამხედველობა ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების სტანდარტებისა და კანონის უზენაესობის დაცვას უსაფრთხოების სექტორის მიერ.

ეს დოკუმენტი მომზადებულია იმ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსი სახით, რომლებიც უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში არიან ჩართულები. იგი ასევე გათვალისწინებულია იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მოცემულ პროცესში უფრო აქტიურად

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ჩართვას ცდილობენ. ეს მექანიზმი ასევე გამოსადეგია პოლიტიკის შემქმნელებისა და ეროვნული მთავრობების ოფიციალური პირების, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებისათვის, რომლებიც უსაფრთხოების სექტორის რეფორმისა და განხორციელების პროცესში არიან ჩართულები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებისა და მხარდაჭერის კუთხით აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ.

ეს დოკუმენტი მოიცავს:

- სამოქალაქო საზოგადოების როლის აღწერას ზედამხედველობის მექანიზმებისათვის
- გენდერული საკითხების ჩართვის ლოგიკასა და მისი მეშვეობით ზედამხედველობის გაძლიერების გზებს
- გენდერული საკითხების სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის სხვადასხვა სფეროებში ჩასართავად საჭირო პირველად ქმედებებს, პრაქტიკულ მინიშნებებსა და მაგალითებს
- გენდერული საკითხების სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობაში ჩართვის მიმოხილვა კონფლიქტის შემდგომ, გარდამავლობისა და განვითარების ეტაპზე მყოფი და განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე
- ძირითად რეკომენდაციებს
- დამატებით რესურსებს

2. რა როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოება უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში?

2.1. რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

სამოქალაქო საზოგადოება შესაძლოა გავიგოთ, როგორც ცალკეულ პირსა და მთავრობას შორის არსებული პოლიტიკური სივრცე:

სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბაზრის პარალელურ განზომილებას, რომელიც ამავედროულად მათგან დამოუკიდებელია. სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების მიხედვით თავისუფლად დაჯგუფება შეუძლიათ. იგი მოიცავს ფორმალურად დაკავშირებული ადამიანების თვითინიცირებულ და მოხალისეობრივ სექტორს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებს არასამთავრობო თუ სათემო ორგანიზაციების, რელიგიური დაწესებულებების,

პროფესიული ასოციაციების, სავაჭრო კავშირების, სტუდენტური ჯგუფების, კულტურული საზოგადოებისა და სხვათა მეშვეობით ახორციელებენ.

სამოქალაქო საზოგადოება ნებისმიერ ქვეყანაში სხვადასხვანაირ ფუნქციებს ახორციელებს:

- წარმოადგენს მრავალფეროვან მოსახლეობას
- პოლიტიკის შემქმნელებსა და სამთავრობო დაწესებულებებს ტექნიკური ექსპერტიზით უზრუნველყოფს
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ორგანოებს შესაძლებლობების განვითარებაში ეხმარება
- სახელმწიფოს მაგივრად მომსახურების მიწოდებას ახდენს
- სოციალური ურთიერთობებისა და ქსელის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის.

ამ მექანიზმში ასევე შედის მედია, ვინაიდან მას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის სახელმწიფოს როლებისა და პასუხისმგებლობის კომუნიკაციისათვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისათვის სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებისა და ინტერესების გადაცემის თვალსაზრისით.

2.2. როგორ არის სამოქალაქო საზოგადოება ჩართული უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში?

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა შესაძლოა იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ხასიათის და ორივე მათგანი ბევრ სხვადასხვა დონესა და ერთეულში ხორციელდება. გარე ზედამხედველობა შესაძლოა ორი ძირითადი სახით განხორციელდეს: უპირველეს ყოვლისა, ე სარის უსაფრთხოების სექტორის პირდაპირი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე, ხოლო შემდეგ პოლიტიკოსებისა და ქვეყნის მთავრობაში მყოფი ბიუროკრატების პასუხისმგებლობა უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე მოქმედებების შესახებ. გარე ზედამხედველობის ყველაზე ტიპური ორგანოებია პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლო, ანტი-კორუფციული და საჯარო ანგარიშვალდებულების ორგანოები, და სახალხო დამცველები.

სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ზედამხედველობის ჩათვლით მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. იგი ასევე უსაფრთხოების სექტორის მონაწილეთა სტრუქტურისა და პრაქტიკის ზედამხედველობასაც გულისხმობს. მისი ამოცანა შიდა და გარე

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სათემო ინტერესებისა და პერსპექტივების ჩართვა, ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების გაღვივება და მდგრადობის უზრუნველყოფაა. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა იდეალურად უწყობს ხელს საერთაშორისო დონეზე მიღებული გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დემოკრატიული ნორმების გატარებას. სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე და შესაძლოა მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ ზედამხედველობის მექანიზმებს.

უსაფრთხოების სექტორი მოიცავს:

- **ძირითად უსაფრთხოების მხარეებს**, მათ შორის შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, ჟანდარმერიას, ნახევრად სამხედრო ძალებს, დაზვერვისა და უშიშროების სამსახურებს, სასაზღვრო ძალებსა და საბაჟო დაწესებულებებს.
- **უსაფრთხოების მართვისა და ზედამხედველობის ორგანოებს**, მათ შორის პარლამენტსა და მის შესაბამის საკანონმდებლო კომიტეტებს, სამთავრობო/აღმასრულებელ ხელისუფლებას, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ერთად, სპეციალურ და ტრადიციულ ხელისუფლებას, ეროვნულ საკონსულტაციო ორგანოებსა და ფინანსური მენეჯმენტის ორგანოებს.
- **მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის დაწესებულებებს**, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციურ სისტემას, სისხლის სამართლის საგამოძიებო და სახელმწიფო ბრალდების სამსახურს, სასამართლო ხელისუფლებას, სხვა სპეციფიკურ და ტრადიციულ მართლმსაჯულების სისტემას, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიებსა და სახალხო დამცველებს.
- **კანონით გაუთვალისწინებელ უსაფრთხოების ძალებს**, მათ შორის განმათავისუფლებელ არმიებს, პარტიზანულ დაჯგუფებებს, კერძო დაცვის სამსახურებს, კერძო უსაფრთხოების კომპანიებს, კერძო სამხედრო კომპანიებსა და პოლიტიკური პარტიების მილიციას.

მონაწილეობისა და გამჭვირვალობის კულტურა ფუნქციონალური და დემოკრატიული უსაფრთხოების სექტორის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართვის მეშვეობითაა შესაძლებელი. სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ექსპერტიზა და ავტონომიური ინტერესები მნიშვნელოვნად აბალანსებს ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს, რომელიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებს განსაზღვრავს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეების ზედამხედველობაში ჩართვა პოლიტიკის შემქმნელებს უფრო ფართო პერსპექტივას, ინტერესებს, ინფორმაციასა და ალტერნატივებს

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

სთავაზობს. თუმცა, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ არიან დემოკრატიულები ან ყოველთვის სათანადოდ არ წარმოადგენენ მოსახლეობის საჭიროებებსა თუ ინტერესებს. შესაბამისად, მათი ჩართულობა ეფექტურ ზედამხედველობას ავტომატურად არ ნიშნავს.

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა ძირითადად შემდეგი სახით ხორციელდება:

- **პოლიტიკის შესახებ რჩევებისა და ტექნიკური ექსპერტიზის წყაროს სახით**, რომელსაც შეუძლია საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს პოლიტიკის შემქმნელებსა და ჩასწვდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სათემო საჭიროებებისა და ინტერესების არსს.
- **ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნებისა და ჩართულობის უზრუნველყოფით**, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მრავალფეროვანი ჯგუფების დისკუსიაში ჩართვას გულისხმობს.
- **მეთვალყურის სახით**, რომელიც ხელისუფლებას პასუხს სთხოვს ლობირების, საჯარო საინფორმაციო კამპანიებისა თუ მოსახლეობის მხრიდან პირდაპირი ზეწოლის შედეგად.
- **დიალოგისა და მოლაპარაკების ხელშეწყობით** პოლიტიკის შემქმნელებს, უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებს, ოფიციალურ პირებსა და მოსახლეობას შორის.
- **ადვოკაციის კამპანიების მეშვეობით**, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი მოსაზრებებისა და საკითხების, ასევე ადამიანის უფლებათა დარღვევების, ფინანსების არამიზნობრივად გამოყენებისა თუ სხვა მსგავსი დარღვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- **მომსახურების მიწოდებითა და უსაფრთხოებისა და სამართლიანობის ალტერნატიული გზებით უზრუნველყოფას** ისეთ შემთხვევებში, როცა სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს შეასრულოს ეს როლი, ან როცა სამოქალაქო საზოგადოებას ამ მომსახურების უკეთ გაწევა შეუძლია.

2.3. რა გამოწვევები არსებობს სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ჩართულობის კუთხით?

სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურ ზედამხედველობაში ჩართვას რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი გააჩნია:

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

- ტრადიციული გასაიდუმლოება, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს უსაფრთხოების სექტორს, ართულებს საზოგადოებისათვის პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
- ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებისდმი უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება სამოქალაქო თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგოდ ნიშნავს, რომ უსაფრთხოების სექტორიდან ანგარიშვალდებულების მოთხოვნა უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი.
- ექსპერტიზისა და შესაძლებლობების ნაკლებობა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რათა ჩაერთონ უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებულ საკითხებში.
- ნდობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და უსაფრთხოების სექტორს შორის ართულებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან კავშირსა და უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების პროგრამებზე ზეგავლენას. ნდობისა და თანამშრომლობის ნაკლებობა თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის შესაძლოა ასევე შემზღუდავი ფაქტორი აღმოჩნდეს.
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ნაკლებობა, ვინაიდან ისინი ან ფინანსდებიან უსაფრთხოების სექტორიდან, ან მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას წარმოადგენენ. ეს კი ხელს უშლის მათ დამოუკიდებლობას.
- დონორების მცირეოდენი დახმარება უსაფრთხოების სექტორის გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების კუთხით ძირითადად ტექნიკურ დახმარებასა და სექტორის ეფექტურობაზეა მიმართული. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის გაძლიერება.
- ფრაგმენტირებული სამოქალაქო საზოგადოება, სადაც ორგანიზაციები ვერ ახერხებენ თანამშრომლობას ან ერთობლივად ისეთი საკითხების ადვოკაციას, როგორცაა უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის შესაძლოა გარკვეული ორგანიზაციები დომინირებდნენ, რის შედეგადაც, მაგალითად, ქალთა ან სოფლის ორგანიზაციები შესაძლოა მარგინალიზებული აღმოჩნდნენ და გაუჭირდეთ ზედამხედველობის მექანიზმში ჩართვა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მსგავსი სტრუქტურები არ არიან და მოცემული კონტექსტიდან გამომდინარე მათი ბუნება, შესაძლებლობა და სტრუქტურა შესაძლოა მრავალმხრივად განსხვავდებოდეს. ეს მრავალფეროვნება როგორც გამოწვევას, ასევე შესაძლებლობას წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალფეროვნება სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი სიძლიერეა,

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ვინაიდან ამ შემთხვევაში არსებული დიდი ოდენობით ცოდნა და გამოცდილება, ასევე სხვადასხვა პრიორიტეტები და პერსპექტივები მათ სხვადასხვა საკითხზე და სფეროში მნიშვნელოვანი კონტრიბუციის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლოა კარგი მექანიზმი გააჩნდეთ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის განსახორციელებლად, რაც, დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების სექტორის მონაწილეთა უფრო მეტად გაკრიტიკების საშუალებას აძლევს.

დონორი ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ ისინი ხშირად ყველაზე ხელმისაწვდომ და კარგად დაფუძნებულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან მუშაობენ მიუხედავად იმისა, კარგად წარმოადგენენ ისინი მოსახლეობის უმეტესობის მოსაზრებას თუ არა. თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ზოგადად მოსახლეობის ან მთავრობისა და მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების მიერ არ მიიჩნევა საჭირო რეპუტაციის მქონედ, მაშინ ეფექტურობისა და ზედამხედველობის მექანიზმში კონსტრუქციული წვლილის შეტანის შესაძლებლობა ეჭვქვეშ დგება. ზედამხედველობის პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გააჩნდეთ ქსელი, რომელიც დედაქალაქებსა და ფორმალურ სტრუქტურებში გავრცელებული ელიტარულ ჯგუფებს მიღმა ვრცელდება.

პერსპექტივის მრავალფეროვნების მიმართვა ფართო წარმომადგენლობისა და ლეგიტიმურობისაკენ, ამავედროულად იმისი აღიარება, რომ ზოგიერთ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას უფრო მეტი გამოცდილება და ზედამხედველობის მექანიზმისადმი უფრო მეტი ხელმისაწვდომობა გააჩნია, ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე გარე მხარეებისთვისაც, რომლებიც ცდილობენ ჩაერთონ და ხელი შეუწყონ უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერას.

3. რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული საკითხების გათვალისწინება სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის დროს?

გენდერი გულისხმობს კონკრეტულ როლებსა და ურთიერთობებს, პერსონალურ მიმართულებას, დამოკიდებულებას, ქცევასა და ღირებულებას, რომელსაც საზოგადოება მიაწერს ქალებსა და მამაკაცებს. შესაბამისად, „გენდერი“ ნიშნავს ქალებსა და მამაკაცებს შორის შედენილ განსხვავებას, ხოლო „სქესი“ გულისხმობს ქალებსა და მამაკაცებს შორის ბიოლოგიურ განსხვავებას. გენდერის როლები განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და შესაძლოა დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს. გენდერი გულისხმობს არამხოლოდ ქალებსა და მამაკაცებს, არამედ მათ შორის არსებულ ურთიერთობასაც.

გენდერული მენსტრიმინგი ნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც ქალებსა და მამაკაცებზე ზეგავლენის კუთხით ფასდება ნებისმიერი დაგეგმილი ქმედება, მათ შორის კანონმდებლობა, პოლიტიკა ან პროგრამები ნებისმიერ სფეროსა და ნებისმიერ დონეზე.

იხ. უსაფრთხოების სფეროს რეფორმა და გენდერი

ნებისმიერი ზედამხედველობის პროცესის დანიშნულებაა გააძლიეროს სტრუქტურები, პოლიტიკა და მექანიზმები, რომელიც უსაფრთხოების სექტორის როგორც ფინანსურ, ასევე მოქმედებების ანგარიშგებასაც გულისხმობს. არსებობს ბევრი გზა, რომლის მეშვეობითაც გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობას აძლიერებს. ეს კი ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების გაღვივებას, ეფექტურობასა და ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს.

საერთაშორისო კანონმდებლობითა და ინსტრუმენტებით ნაკისრ ვალდებულებასთან შესაბამისობა

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრაცია უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო და რეგიონალურ კანონმდებლობას, ინსტრუმენტებსა და ნორმებს უსაფრთხოებისა და გენდერის შესახებ. ძირითადი ინსტრუმენტებია:

- კონვენცია ქალების მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (1979)
- ბეიჯინგის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995)
- გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2000)

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი საერთაშორისო და რეგიონალური კანონმდებლობისა და ინსტრუმენტების შესახებ.

3.1. ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების გაძლიერება

„სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამაში ჩართვა უფრო ფართო და მეტად ინკლუზიური ადგილობრივი საკუთრების შეგრძნებისა და შესაბამისად, მდგრადობის წინაპირობაა. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის

შესრულება უწევთ მოსახლეობის ინტერესებისა და საჭიროებების გამოსახატად და ისეთი რეფორმების ხელშესაწყობად, რომელიც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ყველაზე მწვავე საჭიროებებს აკმაყოფილებს.”

OECD-DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი საკმაოდ დროს საჭიროებს, სხვადასხვა მონაწილეებს შორის დიალოგი, თანამშრომლობა და კომპრომისი და ადგილობრივ დონეზე საკუთრების განცდა მნიშვნელოვანია დემოკრატიული, გამჭვირვალე და ანგარიშგაღებული უსაფრთხოების სექტორის ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, დონორები და სხვა გარე მხარეები ხშირად ისეთ მოდელს, პოლიტიკასა და პროგრამას თავაზობენ ადგილობრივ პარტნიორებს, რომლებიც ყოველთვის არ გამოხატავენ მათ პრიორიტეტებსა და ინტერესებს. ზემოდან ქვემოთ მიმართული მიდგომა ხისტია: „ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების არსებობა როგორც პატივისცემის საკითხი, ასევე პრაგმატული საჭიროებაცაა. ეს გულისხმობს, რომ რეფორმები, რომელთა ჩამოყალიბება და წარმართვა ადგილობრივი მხარეების მიერ არ ხდება, ნაკლებად იქნება სწორად განხორციელებული და შენარჩუნებული. ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების გარეშე უსაფრთხოების სექტორის რეფორმა განწირულია წარუმატებლობისათვის.“

გენდერული საკითხების ჩართვამ შესაძლოა ადგილობრივი საკუთრების შეგრძნების გაღვივება გამოიწვიოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყველა ჩართულ ქალსა თუ მამაკაცს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ჩამოყალიბების პროცესში საკუთარი წვლილი ექნება შეტანილი, ვინაიდან ეს რეფორმა ეხება მათ თემსა და ქვეყანას. იგი ასევე აჩვენებს ქალთა ორგანიზაციების, როგორც ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელოვნებას (იხ. 3.3). გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნებისა და განსაკუთრებით კი ადგილობრივი პერსპექტივებისა და მონაწილეების უსაფრთხოების სექტორის რეფორმებისა და გაძლიერების პროცესში ჩართვის გარეშე გენდერული მიდგომა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. უსაფრთხოების სექტორში გენდერული პერსპექტივის გატარებისათვის საჭირო ნაბიჯი მოიცავს მოსახლეობის ყველა წევრთან დაკავშირებას მათი როლების, პასუხისმგებლობის, შესაძლებლობების, საჭიროებისა და ინტერესების გამოსავლენად, ვინაიდან ეს ყველაფერი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული. ამ გაგების ჩამოყალიბების პროცესი გაიმართება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივი მონაწილეები აქტიურად იქნებიან ჩართული უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ისეთმა დონორებმა, როგორცაა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), აღიარებს, რომ საკუთრების შეგრძნების გარეშე უსაფრთხოების სექტორის რეფორმა წარმატებული ვერ იქნება.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნება არ არის დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შესძლებლობაზე და მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე. გარე მონაწილეებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება ჩართულობის გაძლიერებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ისეთ პროგრამებში და პროექტებში, რომელიც ინიცირებულია ადგილობრივი მონაწილეების მიერ.

3.2. ეფექტური და გააზრებული ზედამხედველობის მექანიზმები გენდერული საკითხების ინტეგრაციის პროცესისათვის

სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ზედამხედველობისათვის გენდერული პერსპექტივა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო და არამხოლოდ იმიტომ, რომ მათი მშვეობით ნათელი ხდება, რომ მოსახლეობა არ არის ერთგვარი ჯგუფი და შედგება სხვადასხვა უსაფრთხოების საჭიროებისა თუ ინტერესისგან. ის როლები და პასუხისმგებლობა, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს გააჩნიათ უსაფრთხოების სექტორთან მიმართებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება და ხშირად გენდერის შესახებ საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრების შედეგია. მაგალითად, მამაკაცები საკუთარ ოჯახებსა და თემებში ხშირად უსაფრთხოების გარანტიად მოიაზრებიან, რაც უფრო ზრდის მათ შეხებას შეიარაღებულ ძალადობასთან. ქალებს, მეორეს მხრივ, ხშირად გააჩნიათ სპეციფიკური საჭიროებები უსაფრთხოების კუთხით, მაგალითად, დაცვა ოჯახური ძალადობისგან, რომელიც შესაძლოა არ იყოს საკმარისად მოგვარებული კანონის აღმასრულებელი ან მართლმსაჯულების სისტემის მიერ. იქედან გამომდინარე, რომ უსაფრთხოების სექტორის დანიშნულებაა უსაფრთხოებითა და მართლმსაჯულებით უზრუნველყოს როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებამ მის მიერ განხორციელებულ ზედამხედველობის პროცესში ჩართოს გენდერული საკითხები, რათა დარწმუნდეს, რომ არსებული სისტემები და სტრუქტურა იცავს ყველას და არამხოლოდ საზოგადოებაში ყველაზე მეტად შესამჩნევ ან პრივილეგირებულ ჯგუფებს.

ანალიზის, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ფუნქციების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებას ისეთი ჯგუფების გამოვლინება შეუძლია, რომლებიც არ არიან ჩართულები უსაფრთხოების სექტორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ან ფლობენ მექანიზმებსა და დაცვის შესაძლებლობებს უსაფრთხოების სექტორის თვალსაზრისით. მარგინალიზებული ადამიანების მოსაზრებების გახმოვანება ნებისმიერი ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამას, თავის მხრივ, შედეგად ქალთა ორგანიზაციების უსაფრთხოების პროცესში ჩართულობა მოჰყვება.

დაწესებულებები და ცალკეული პირები, რომელთაც უსაფრთხოების განხორციელების ვალდებულება აკისრიათ, შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობისათვის თავად გახდეს დაუცველობის შემქმნელი, განსაკუთრებით კი ქალებისა და მარგინალური ჯგუფების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა უსაფრთხოების მუშაკების ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ეს ძალადობა, გენდერულ ძალადობასთან ერთად, შესაძლოა უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლებიდან მოდიოდეს, ან, სულაც, კანონმდებლობიდან, კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული პოლიტიკისა და სტრუქტურებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, როცა სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობა არ ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს, უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა შესაძლოა აგრძელებდეს ქალების, მამაკაცების, გოგონათა და ვაჟთა მიმართ გენდერულ ძალადობას, არსებობდეს გენდერული უთანასწორობა და გარიყვის პრაქტიკა. ეს, თავის მხრივ, ძლიერი საფუძველია სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის ფარგლებში მოცემული მოსახლეობის ყველა ჯგუფის ინტერესის გასათვალისწინებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზედამხედველობა არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ სტრუქტურებსა და პროცედურებს, არამედ მოიცავს ნაკლებად გაზომვად ფაქტორებს, როგორცაა ტრადიცია, პოლიტიკური კულტურა და სხვა არაფორმალური ქცევის წესები, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების კუთხით. გენდერული დინამიკა ყველა ამ ფაქტორის გამართვის მნიშვნელოვანი დამხმარე ძალაა. შესაბამისად, იმის კარგად გაგება, თუ როგორ ახდენენ ეს ფაქტორები ზეგავლენას უსაფრთხოების სექტორზე, შესაძლოა უფრო კარგად განმარტავდეს იმ ძირითად საკითხებსა და მექანიზმებს, რომელიც უფრო ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე პრაქტიკის მომტანია.

3.3. გაძლიერებული ზედამხედველობა ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვით

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის დროს ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსები ხშირად გამოუყენებელია. ისეთ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს მოსახლეობის ყველა ფენის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფას, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნან უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილები გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის, ადვოკაცია გასწიონ გენდერული საკითხების მომცველი საკანონმდებლო რეფორმისათვის, ქალებსა თუ მამაკაცებს გააცნონ მათი ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს ვალდებულება მათ დასაცავად, ასევე შეთავაზონ სხვადასხვა მომსახურება და განავითარონ თემის შესაძლებლობები. ამ ორგანიზაციების გამოცდილება

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

და მოსაზრებები სხვადასხვა ჯგუფების უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების შესახებ სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული. ქალთა ორგანიზაციებს გენდერული საკითხების მომცველი უსაფრთხოების სექტორის ზეგავლენის გაძლიერება შემდეგი მექანიზმების გამოყენებით შეუძლიათ:

- გამჭვირვალობის, ანგარიშგაღებულებისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად პოლიტიკის შექმნის პროცესში გენდერული საკითხების გათვალისწინებით რჩევების მიცემა.
- გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო და რეგიონალური შეთანხმებების, ასევე ეროვნული და ინსტიტუციური პოლიტიკის შესრულების მონიტორინგი უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში.
- გენდერისა და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ მმართველობისა და ზედამხედველობის ორგანოებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება.
- ადამიანებისა და თემების, განსაკუთრებით კი „მარგინალიზებული ჯგუფების” წინაშე მდგარი უსაფრთხოებისა და სხვა საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად საჭირო ზედამხედველობაში დახმარება.
- დიალოგისა და მოლაპარაკებების ფასილიტაცია ადგილობრივ თემებსა და უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ორგანოებს შორის.
- საზოგადოების ინფორმირება, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების მიმართ ანგარიშგაღებულების მოთხოვნის წაყენება, მაგალითად, პოლიციის მიერ ჩადენილი დარღვევების აღრიცხვის მეშვეობით.
- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებსა და ზედამხედველობის ორგანოებში გადაწყვეტილებების მიმღებ და ლიდერ პოზიციებზე ქალების მხარდაჭერა.

ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ჩართვის კიდევ ერთი დადებითი მხარეა ამ ორგანიზაციების უნარი მიწვდნენ ისეთ მოსახლეობას, რომელიც სხვაგვარად ძნელად მისაწვდომია. იმის გამო, რომ ქალები ნაკლებად საშიშად არიან მიჩნეული, მათ უფრო ადვილად შეუძლიათ შეაღწიონ კონფლიქტის მქონე კონტექსტში და შესაბამისად, უფრო აკურატული ინფორმაცია და აღქმა გააჩნდეთ მოსახლეობის ყველაზე უფრო დაზარალებული ფენის უსაფრთხოების საჭიროებების შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრული და თანაბარი მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია, გენდერული თანასწორობის მისაღწევად მხოლოდ ეს არ კმარა. ასევე მნიშვნელოვანია გენდერული პერსპექტივის ჩართვა სამოქალაქო

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

საზოგადოებრივი ზედამხედველობის ყველა ასპექტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებების, საჭიროებების, ინტერესებისა და პერსპექტივის გათვალისწინება (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი 5).

სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობაში გენდერული საკითხების სრულად ჩართვა რეალურად შესაძლოა ძნელი იყოს, ვინაიდან არსებობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნაკლები გამოცდილება, რესურსები, პოლიტიკური ნება, დრო და სხვა. თუმცა, გენდერული საკითხების ინტეგრაციის სტრატეგიის ჩამოყალიბება და ქალთა ორგანიზაციების უფრო მეტი ჩართულობა ამ პროცესში შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის უფრო მეტი ეფექტურობის წინაპირობა გახდეს. შესაძლო შედეგები მოიცავს:

- უსაფრთხოების სტრუქტურებისა და პროცესის უფრო კარგი გააზრება მოცემული მოსახლეობის ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარის, მათ შორის ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვით. ყველა ამ მხარეს განსხვავებული პერსპექტივა, ცოდნა და გამოცდილება მოაქვს უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში, რაც ალტერნატიული გაგებისა და მოცემულ კონტექსტში ზოგადად უსაფრთხოების გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავებას უზრუნველყოფს. ქალების ჩართულობა ასევე ხელს უწყობს მამაკაცების მიერ მათი, როგორც უსაფრთხოების გარანტორების როლისა და საკუთარი დაუცველობის ფაქტორების სხვანაირად გააზრებას.
- უფრო „ნათელი“ ხდება უსაფრთხოების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ძალადობა ქალების წინააღმდეგ. ეს ხელს უწყობს ზედამხედველობის მექანიზმების მიერ ამ საკითხების უფრო ეფექტურად გამოვლინებას, მონიტორინგსა და ადვოკაციას.
- მთელი მოსახლეობისა და არამხოლოდ დომინანტური ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება და მონაწილეობა უფრო მეტად ზრდის ზედამხედველობის მექანიზმების ლეგიტიმურობას.

4. როგორ შეიძლება გენდერული საკითხების ინტეგრაცია უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო ზედამხედველობაში?

არსებობს რამდენიმე ძირითადი საწყისი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას უსაფრთხოების სექტორისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის პროცესში გენდერული საკითხების ჩართვისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პროცესი ხდება არა ავტომატურად, არამედ საჭირო პოლიტიკური ნების, რესურსებისა და შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა, გენდერული საკითხების ჩართვისაკენ მიმართული დაფინანსება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეფექტური ზედამხედველობის პროცესის ადეკვატური დაფინანსება.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

გენდერული საკითხების სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის პროცესი განსხვავებული იქნება სხვადასხვა კონტექსტში და ჩვეულებრივ მოიცავს არსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობებს, უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს, ასევე სპეციფიკური უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების სტრუქტურას. გენდერული საკითხების ზედამხედველობის პროცესში ჩართვა შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა ზომებს, მათ შორისაა:

- გამჭვირვალე და თანასწორი დისციპლინარული პროცედურების არსებობა.
- ქცევის მინიმალური სტანდარტებისა და ეთიკური კოდექსის შექმნა უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლებისათვის.
- გენდერული საჭიროებების გამოვლენა და ჩართვა უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურებსა და პრაქტიკაში.
- უსაფრთხოების სამსახურებში, განსაკუთრებით კი მაღალ დონეებზე უფრო მეტი ქალების ჩართვის ადვოკაცია.
- ზოგადად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ძირითადი უსაფრთხოების საკითხების შესახებ, განსაკუთრებით კი ქალებთან და სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- საზოგადოებისგან წამოსული საჩივრების მიწოდება შესაბამისი პირებისა თუ ორგანიზაციებისათვის უსაფრთხოების სექტორში.

ამ ნაწილში მოცემული რეკომენდაციები ზოგადი ხასიათისაა. კონფლიქტის შემდგომ, განვითარებისა და გარდამავლობის ეტაპზე მყოფი და განვითარებულ ქვეყნებში უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესახებ უფრო დეტალური რეკომენდაციები და ინფორმაცია იხილეთ ნაწილში 5.

4.1. უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოები

სამოქალაქო საზოგადოებას უსაფრთხოების ზედამხედველობის არაერთ ოფიციალურ ორგანოში შეუძლია მონაწილეობის მღება. ასეთი ორგანოებია სამოქალაქო განხილვის საბჭოები, საჯარო საჩივრების კომისიები, ექსპერტების ტექნიკური გუნდები, დამოუკიდებელი მონიტორინგის ჯგუფები, სახელმწიფოს მიერ ინიცირებული უსაფრთხოების ასპექტების, მაგ., ციხეების, პოლიციის ქცევებისა და სხვათა შეფასებები. ამ ორგანოებს ევალებათ უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების მონიტორინგი და შეფასება, რაც მნიშვნელოვან საწყისს წარმოადგენს გენდერული საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად და ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობისათვის. სამოქალაქო საზოგადოებას წვლილის შეტანა შეუძლია საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმებში, სადაც

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

პარლამენტარებთან მუშაობის შედეგად ყალიბდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვები ან იწყება დებატები ამ საკითხების ირგვლივ.

იხ. უსაფრთხოების სექტორის
საპარლამენტო ზედამხედველობა და
გენდერი

ქალთა ორგანიზაციებს, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თემებში ქალთა საჭიროებების შესახებ მათი ცოდნიდან გამომდინარე მონაწილეობით ან საკონსულტაციო პროცესში ჩართვით მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულების შექმნა შეუძლიათ:

- ფიჯიზე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქალთა საკითხების სამინისტროსთან მუშაობდა, 2003 წელს შეხვდა ფიჯის მთავრობის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტს. ქალთა ორგანიზაციამ წამოჭრა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა:
 - o გადასინჯვის პროცესის ჩატარების გზა
 - o ვისთან ხდებოდა კონსულტაციის გავლა
 - o გამოვლენილი პრობლემები უსაფრთხოების საკითხებში
 - o რამდენად ხდებოდა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების, მათ შორის გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1325 რეზოლუციის გათვალისწინება ამ პროცესში.

შედეგად, კომისიას ორი საკითხი წარედგინა: ქალთა საქმეთა მინისტრიეს ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოში დანიშვნის შესახებ და პროვინციებისა და რაიონების უსაფრთხოების კომისიებში ქალების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ.

- კამბოჯიაში ქალთა ორგანიზაციები და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფები, როგორცაა კამბოჯიის ადამიანის უფლებათა დაცვის და ხელშეწყობის ლიგა, თანამშრომლობენ სამთავრობო ზედამხედველობის სააგენტოებთან ძალადობის ბრალდებების გამოძიებისა და კამბოჯიაში ახლახან მიღებული ოჯახური ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობის დასადგენად. ეს კანონი პოლიციეს უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს ჩაერიოს ოჯახური ძალადობის შემთხვევებში და აძლიერებს მსხვერპლთა დასაცავად არსებულ ლეგალურ რესურსებს.

გარდა ქალთა ორგანიზაციების ჩართვისა, ზედამხედველობის ორგანოებში თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ქალების ნაკლები მონაწილეობა შესაძლოა შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარეობდეს:

- ოჯახური მოვალეობების გამო ქალებს არ გააჩნიათ საკმარის დრო ან შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეიტანონ აღწერილ პროცესებში.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

- სოციო-ეკონომიკური დამოკიდებულება ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებსა და საჯარო სფეროში.
- ქალებს ხშირად არ გააჩნიათ საჭირო უნარ-ჩვევები კონსტრუქციული მოსაზრებების უზრუნველსაყოფად.

ბევრი ამ წინააღმდეგობის გადალახვა შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტრენინგის, ინფორმირებისა და პროაქტიული პოლიტიკის მეშვეობით. ეს საქმიანობა ზოგადად მონიტორინგის მექანიზმსაც მოუტონს სარგებელს, ვინაიდან ამ დროს ხდება დიდი ოდენობის ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების მიწოდება.

მნიშვნელოვანია გენდერული საკითხების ჩართვა მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოების ყველა საქმიანობაში და ამის უზრუნველსაყოფად ადეკვატური სტრუქტურებისა და პროცესების არსებობა. თუმცა, უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის დროს შესაძლოა არ მოხდეს გენდერული საკითხების სათანადოდ გათვალისწინება, ან მათი, როგორც უსაფრთხოების საკითხებისადმი შეუსაბამოდ მოაზრება. ამისი მოგვარების ერთ-ერთი გზა უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოებისათვის გენდერული ტრენინგის ჩატარებაა, რაც მათ დაანახებს გენდერული საკითხების ინტეგრაციის საშუალებებსა და აღჭურავს პრაქტიკული უნარებით, თუ როგორ მოახდინონ ქალებისა და გოგონების ადამიანური უფლებების დარღვევის მონიტორინგი. გენდერული საკითხების ინტეგრაციისათვის სასურველია არსებობდეს ერთგვარი შესამოწმებელი ჩამონათვალი (იხ. სურათი 1).

კვლევისა და ანალიზის უნარების მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის აკადემიურ ცენტრებს, ექსპერტთა ჯგუფებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს ხშირად უფრო კარგად შეუძლიათ უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება ტექნიკური ექსპერტიზის მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომელთაც შეუძლიათ კონსულტაციის გაწევა მაგალითად, დისკრიმინაციული კანონმდებლობის რეფორმირების დროს ზედამხედველობის ორგანოების წინაშე წარმოშობილი გენდერული საკითხების ირგვლივ.

<p>ჩანართი 1. შესამოწმებელი ჩამონათვალის ნიმუში უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოებისათვის პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში</p> <ul style="list-style-type: none">- აქვს თუ არა უსაფრთხოების სიტუაციას განსხვავებული ზეგავლენა ქალებზე, მამაკაცებზე, გოგონებსა თუ ვაჟებზე?- არის თუ არა ცნობილი ქალებისა და მამაკაცების უსაფრთხოების
--

- საჭიროებები და ხდება თუ არა მათი დაკმაყოფილება?
- ხდება თუ არა ქალი სამშვიდობოების განთავსება მოცემულ ტერიტორიაზე და რა დონით?
 - მისიაზე გაგზავნამდე გადიან თუ არა სამშვიდობო ძალები გენდერულ ტრენინგს?
 - რა როლს თამაშობენ ქალები სამხედრო ძალებში, შეიარაღებულ ჯგუფებში, პოლიციასა თუ სხვა უსაფრთხოების დაწესებულებებში, როგორცაა სადაზვერვო სამსახური თუ სასაზღვრო პოლიცია, საბაჟო, საიმიგრაციო და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურები (პროცენტული მაჩვენებლები, რანგი და კატეგორია)?
 - ხდება თუ არა ისეთი ქმედების მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ქალების ჩართულობას სამხედრო ძალებში, პოლიციასა თუ სხვა უსაფრთხოების დაწესებულებებში?
 - რა სახის ტრენინგი ესაჭიროებათ სამხედრო და შეიარაღებულ ჯგუფებში მოღვაწე ქალებსა და მამაკაცებს?
 - ხდება თუ არა გენდერული ტრენინგის ჩატარება სამხედრო ძალებსა და სხვა უსაფრთხოების სამსახურებში?

ჩანართი 2. სქესობრივად დაყოფილი მონაცემები

სქესობრივი მაჩვენებლების მიხედვით დაყოფილი მონაცემები (სტატისტიკური მონაცემები, რომელიც არჩევს ქალებსა და მამაკაცებს) მნიშვნელოვანი ფაქტორია გენდერულად გამართული უსაფრთხოების სექტორის კვლევისა და მონაცემების შეგროვების კუთხით. მისი მეშვეობით ნათელი ეფინება ქალთა და მამაკაცთა ხელთ არსებულ სხვადასხვა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საფრთხეს, საჭიროებებს, მოსაზრებებსა და რესურსებს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გენდერული საკითხების გათვალისწინებით რეფორმების განსახორციელებლად.

სქესობრივად დაყოფილი მონაცემები გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

- ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების განსხვავებული უსაფრთხოების საჭიროებების გამოვლენა, მათ შორის ამ საფრთხეების დროთა განმავლობაში ცვლილების დინამიკა.
- შეფასება, თუ რამდენად თანაბრად მიეწოდება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მომსახურება ქალებსა და მამაკაცებს, გოგონებსა და ვაჟებს.
- ზოგადად, პრობლემების გამოვლენა და განმარტება, შესაძლო ვარიანტების ჩამოყალიბება და ისეთი ვარიანტის შერჩევა, რომელიც

ყველაზე მეტად ეფექტური და სასარგებლოა როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისთვისაც.

- რესურსების უფრო თანასწორობის პრინციპით განაწილება.
- უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მათი ქალებზე, მამაკაცებზე, გოგონებსა თუ ვაჟებზე ზეგავლენის კუთხით.

!! მინიშნებები სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოებში გენდერის საკითხების ინტეგრაციისათვის

- გენდერული ტრენინგის ჩატარება უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოებისათვის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებრივი მონაწილეებისათვის გენდერული საკითხების ინტეგრაციის შესაძლებლობის განვითარების მიზნით.
- გენდერული საკითხების შესახებ შესამოწმებელი ჩამონათვალის შექმნა სხვადასხვა მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობაში გენდერული საკითხების სისტემატიურად იქნას ჩართვის მიზნით.
- ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობისა და მათთან კონსულტაციის უზრუნველყოფა.
- ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის ადვოკაცია მონიტორინგის ორგანოებში.

4.2. კვლევა და მონაცემთა შეგროვება

ზუსტი და ეფექტური ზედამხედველობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე საქმიანობის შესახებ ნათელ, წარმომადგენლობით და მრავალსაფეხურიან კვლევასა და მონაცემებზე. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ დამოუკიდებელი მონიტორინგისა და ინფორმაციის შეგროვების კუთხით, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას დარღვევების აღსარიცხად, უსაფრთხოების სექტორისადმი პასუხისმგებლობის დაკისრებისა თუ სექტორის გაუმჯობესების შემოთავაზებების გამოსავლენად. თუმცა, უსაფრთხოების სექტორის კვლევისა და მონაცემთა შეგროვების პროცესში ხშირად არ ხდება გენდერული საკითხების გათვალისწინება.

როგორც ამ დოკუმენტის დასაწყისში აღინიშნა, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების აღქმა და გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებსა და მამაკაცებს შორის. კვლევისა და მონაცემების შეგროვების პროცესი, რომელსაც ზედამხედველობის ორგანო ატარებს ან იყენებს,

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ზუსტად უნდა ასახავდეს ყველა პერსპექტივას. ასევე მნიშვნელოვანია ამ მონაცემების სქესობრივად დაყოფა და სპეციფიური ყურადღების დათმობა გენდერული საკითხებისადმი. პროგრესის მონიტორინგისა და შეფასებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ცვლილებების გენდერული ინდიკატორებისა და საზომების ჩამოყალიბება.

უსაფრთხოების სექტორის მონაცემებისა და კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ზუსტი საბაზისო ინფორმაციის სახით, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროგრამების ეფექტურობას. იქედან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებისგან განსხვავებით ხშირად უფრო მეტად მიუწვდებიათ ხელი ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ უკეთ შეუძლიათ ამგვარი ინფორმაციის შეგროვება. სასურველია ინფორმაციის შეგროვება საკონსულტაციო და მონაწილეობრივი პროცესების მეშვეობით, რომელშიც თემის ყველა წევრია ჩართული.

საჭიროა სპეციფიკური ინიციატივების განხორციელება ქალებისა და გოგონების, ასევე მარგინალიზებული მამაკაცებისა და ვაჟების სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ავღანეთში ქალები ვერ ღებულობენ მონაწილეობას საკონსულტაციო პროცესებში, თუ მათ თან არ ახლავთ მამაკაცი. ამგვარ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შესაბამისი რესურსების გათვალისწინება, რათა უზრუნველყონ ქალების მონაწილეობა (მაგ., აკომოდაციისა და საკვების უზრუნველყოფა ქალების თანმხლები მამაკაცებისათვის). გარდა სქესობრივად დანაწევრებული ინფორმაციისა, მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის შეგროვების მეთოდების გამჭვირვალობა და შედეგების გავრცელება. ქალთა ორგანიზაციების მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესში ჩართვა შესაძლოა თემებში ქალების მონაწილეობის გაზრდისა და სპეციფიკური უსაფრთხოების საჭიროებებისა და პრობლემების გაგების შესაძლებლობა იყოს.

შეგროვებული მონაცემების სქესობრივი კუთხით დახარისხებისა და კვლევის პროცესში ქალებისა და გოგონების ჩართულობის გარდა კვლევა და მონაცემთა შეგროვების პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს ქალებისა და გოგონების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტაციის შესაძლებლობებს (იხ. სურათი 3). გენდერული ძალადობის მსხვერპლებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე ქალთა ორგანიზაციებმა შესაძლოა უკეთ ჩაატარონ სიდრმისეული კვლევები ამ თემაზე. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი კვლევები და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების დოკუმენტაცია ასევე მოიცავს ქალებს, გოგონებსა და ვაჟებს და უნდა სვამდეს სპეციფიკურ კითხვებს გენდერული ძალადობის შესახებ. კვლევა უნდა ჩატარდეს საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დარღვევების მაჩვენებლებსა და პრევენციულ ზომებზე, ასევე უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების მიერ ჩადენილ ადამიანის უფლებების დარღვევებზე.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

როგორც კი მოხდება გენდერულად სენსიტიური ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება, მნიშვნელოვანია მისი ეფექტურად გავრცელება როგორც თემში, ასევე მთავრობისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში მომუშავე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიმღებ პირებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭირო ზეგავლენის მიღება. ხშირად ის შემთხვევები, რომლის დროსაც მოხდა მონაცემების შეგროვება არ იყოს ჩართული უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკაში, ანგარიშებსა თუ შეფასებებში. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს მიღებული მონაცემებისა და კვლევების ეფექტურად გამოყენება. ამის გაკეთება სხვადასხვა გზით შეიძლება. მაგალითად:

- პირდაპირი კომუნიკაცია ან კონტაქტი უსაფრთხოების სექტორში პოლიტიკის კონკრეტულ შემქმნელებთან.
- საჯარო კამპანიები კვლევისა და შეგროვებული მონაცემების შედეგად გამოვლენილი საკითხების ირგვლივ.
- კვლევის შედეგებისა და მონაცემების შეფასების, ანალიზის, მოკლე პუნქტების სახით ჩამოყალიბება, რაც მთავრობის წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადვოკაციისათვის იქნება გამოყენებული.
- ინფორმაციის გავრცელების ინოვაციური მეთოდების გამოყენება, როგორცაა სათემო რადიო არხები, ინტერნეტ ქსელი ან მობილური საინფორმაციო ცენტრები.
- კვლევის შედეგებისა და მონაცემების ადაპტაცია არაწერილობით ფორმატში (მაგ., პოსტერები, კომიქსები, პიესები, სიმღერები და სხვა), რათა ინფორმაცია მისაწვდომი გახდეს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისთვისაც.

ჩანართი 3. მითითებები ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტაციის კუთხით

‘Documenting women’s rights violations by non-state actors: Activist strategies from Muslim communities’, Jan Bauer and Anissa Hélie, Rights & Democracy and Women living under Muslim laws, 2006.

‘Monitoring and Reporting Human Rights Abuses in Africa: A Handbook for Community Activists’, Amnesty International, 2002.

Elizabeth Shrader, ‘Methodologies to Measure the Gender Dimensions of Crime and Violence’, World Bank, 2001.

‘Researching Violence against Women: A Practical Guide for Researchers and Activists’, Mary Ellsberg and Lori Heise, WHO and PATH, 2005.

!! მითითებები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გენდერულად სენსიტიური კვლევისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გასაუმჯობესებლად

- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლების ტრენინგი გენდერულად სენსიტიური მონაცემებისა და კვლევის მეთოდების შესახებ.
- სქესობრივად დანაწევრებული ინფორმაციისა და გენდერულად სენსიტიური კვლევის შედეგების ჩართვა უსაფრთხოების სექტორის ანალიზში.
- გენდერულად სენსიტიური კვლევის გამოყენება უსაფრთხოების საკითხების, კონკრეტულად კი ქალებისა (მაგ., გენდერული ძალადობა) და მამაკაცების (მაგ., იარაღის ბორიტად გამოყენება) პრობლემების ირგვლივ საჯარო კამპანიების ჩასატარებლად.
- არაერთი ნოვატორული სტრატეგიის ჩამოყალიბება გენდერულად სენსიტიური კვლევების შედეგების გასავრცელებლად, განსაკუთრებით კი წერა-კითხვის არმცოდნე სოფლის მოსახლეობაში და ქალებში.

4.3. გენდერული აუდიტი

გენდერული აუდიტი სპეციალური ინსტრუმენტია გენდერის თვალსაზრისით კონკრეტული პროცესების, სტრუქტურის, პოლიტიკისა თუ ორგანიზაციის ანალიზისათვის. ამგვარი აუდიტის შედეგად ფასდება, თუ რა გაკეთდა უკვე და რა შეიძლება გაკეთდეს შემდგომი ქმედების დასაწყებად. უსაფრთხოების სექტორის შემთხვევაში გენდერული შეფასება ავლენს, თუ რამდენად აკმაყოფილებს უსაფრთხოების სექტორი ქალების, მამაკაცების, ვაჟებისა და გოგონების საჭიროებებს, გამორიცხავს თუ არა სამუშაო ადგილზე რაიმე დისკრიმინაციას, რა აფერხებს ქალების მონაწილეობას და რამდენად ითვალისწინებს პოლიტიკა და პრაქტიკა გენდერულ საკითხებს. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მონიტორინგის ორგანოებში მონაწილეობით ან დამოუკიდებლად შეუძლიათ გენდერული აუდიტის ჩატარება, თუ მათ შესაბამისი ექსპერტიზა და რესურსები გააჩნიათ და აქვთ კავშირი უსაფრთხოების სექტორში მოღვაწე ოფიციალურ პირებთან.

იხ. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასება და მონიტორინგი და გენდერი

!! მითითებები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც სურთ გენდერული აუდიტის ჩატარება

- გენდერული აუდიტი სასურველია ჩაერთოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასების პროცესში.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

- გენდერთან დაკავშირებული კითხვები ჩართეთ უსაფრთხოების სექტორის შეფასების ჩვეულებრივ პროცესში.
- აუდიტის მიგნებების შესახებ მუდმივი კავშირი გქონდეთ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოთ მათი ზეგავლენა რეფორმაზე.

4.4. გენდერული საბიუჯეტო ანალიზი

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის კიდევ ერთი საშუალება თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბიუჯეტების გენდერული თვალსაზრისით ანალიზია. იმის გამო, რომ თავდაცვის ბიუჯეტი ხშირად ქვეყნის ხარჯების დიდ ნაწილს წარმოადგენს, ფისკალური გამჭვირვალობისა და ზედამხედველობის გაძლიერება ზედამხედველობის ორგანოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომლის მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ. თანხა, რომელიც თავდაცვაზე იხარჯება აკლდება სოციალურ მომსახურებასა თუ განვითარებას. სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილებას შესაბამისად შესძლოა განსხვავებული ზეგავლენა ჰქონდეს მამაკაცებზე, ქალებზე, გოგონებსა თუ ვაჟებზე, რომლებმაც შესაძლოა მეტ-ნაკლები სარგებელი მიიღონ კონკრეტული სახის დაფინანსებისგან. ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ერთგვარ მექანიზმად ჩამოყალიბდა, რომელიც სახელმწიფო დანახარჯების გენდერული დივერსიფიკაციის განსახილველად გამოიყენება და შესაბამისად, შესაძლოა მისი უსაფრთხოების სექტორზე მორგებაც. ამგვარ ანალიზს შედეგად შესაძლოა ფინანსების უფრო თანასწორი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე გადანაწილება მოჰყვეს, ასევე ზოგადი ეფექტური ზრდა და განვითარება, ვინაიდან მოსახლეობის უფრო და უფრო მეტი ნაწილი მიიღებს სარგებელს სამთავრობო დანახარჯებისგან.

იმისი გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების სექტორი ხშირად საზოგადოებისათვის დახურულია, ინფორმაციისა და მონაცემების მიღება თავდაცვის სექტორზე გაწეული დანახარჯებისა და რესურსების გამოყოფის შესახებ შესაძლოა საკმაოდ რთული აღმოჩნდეს, ხოლო სქესობრივი მახვენებლების მიხედვით დაყოფილი ინფორმაციის მოპოვება კი უფრო რთულიც იქნება. მაშინ, როცა მთავრობასა და პარლამენტს შეუძლია ხარჯვის გენდერული ანალიზის გაკეთება, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიტორინგი გაუწიონ და შეაფასონ რესურსების გამოყოფა და პოლიტიკის შემქმნელებთან იმუშაონ სამთავრობო დანახარჯების ხასიათის შესაცვლელად. უფრო კონკრეტულად, უსაფრთხოების სექტორზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კვლევით ინსტიტუტებსა და ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ კოალიციების ჩამოყალიბება სამთავრობო დანახარჯების სხვადასხვა ასპექტების ანალიზის გასაძლიერებლად და ბიუჯეტის უფრო

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

გენდერული სენსიტიურობით გადანაწილების ადვოკაციისათვის ქრეატიული პლატფორმის შესაქმნელად.

ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ძალიან ტექნიკური საქმეა, რისთვისაც სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლოა ისეთი გარეშე მხარეების ჩართვა მოუწიოთ, რომლები ამ კუთხით განსაკუთრებით ცოდნას ფლობენ. ამ კუთხით შესაძლოა განსაკუთრებულად სასარგებლო იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა, რომელთაც საჭირო მხარდაჭერის გაწევა შეუძლიათ ადგილობრივ ორგანიზაციებზე, რომლებიც ცდილობენ უსაფრთხოების სექტორის დანახარჯების მოსახლეობის მიმართ ეფექტურობის შეფასებას.

!! მითითებები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გენდერულად სენსიტიური საბიუჯეტო პროცესისათვის

- საჭიროა უნარების ჩამოყალიბება ბიუჯეტის გენდერის კუთხით გასაანალიზებლად, რათა უფრო კარგად იყოს გაგებული უსაფრთხოების სექტორის დანახარჯების ზეგავლენა ქალებსა და მამაკაცებზე. ასევე საჭიროა ამ მიგნებების გამოყენება ზედამხედველობისა და ადვოკაციის მიზნით.

4.5. ადვოკაცია და ცნობიერების ამაღლება

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან ფუნქციას თამაშობენ უსაფრთხოების სექტორის როლის, ვალდებულებებისა და მოვალეობების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით, ასევე უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებისა და სამთავრობო სტრუქტურების მიმართ პირდაპირი ადვოკაციისათვის. გენდერის საკითხებზე მიმართული კვლევა და მონაცემთა შეგროვება, მათ შორის გენდერული შეფასებები და გენდერული საბიუჯეტო ანალიზი შესაძლოა ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკაციის ინიციატივის საშუალებად იქნას გამოყენებული.

სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ადვოკაცია გასწიონ ისეთი რეფორმების მოთხოვნით, რომელიც უსაფრთხოების სექტორის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ეფექტურობას აძლიერებს. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების უსაფრთხოების სექტორში შეზღუდული მონაწილეობის გამო ადვოკაციის არსებული შესაძლებლობა შესაძლოა სამოქალაქო კრიტიკის ადვოკაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს. ადვოკაციის ზოგიერთი მიმარულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული პერსპექტივის ზედამხედველობაში ჩასართავად დაკავშირებულია საკანონმდებლო რეფორმასთან, ქალების გაზრდილ წარმომადგენლობასთან უსაფრთხოების სექტორში, ადამიანის უფლებების პარივისცემასთან და გენდერული და უნარების ტრენინგების საჭიროებასთან. უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადვოკაცია ბევრ სხვადასხვა დონეზე

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

უნდა იყოს მიმართული. ადვოკაციის კამპანიები შესაძლოა მოიცავდეს უსაფრთხოების სექტორის მაღალ ეშელონებს, პარლამენტარებს, სამინისტროებს ან დონორ ორგანიზაციებს ისეთი საქმიანობებით, როგორცაა:

- მოთხოვნების დაფიქსირება კონსულტაციებისა თუ უსაფრთხოების სექტორის გადასინჯვის პროცესში
- მედია ინიციატივები
- დემონსტრაციები
- პოლიტიკური დებატები
- პოლიტიკის ბრიფინგების მომზადება.

ქვეყნების უმეტესობის მოსახლეობა ზოგადად ცუდად არის ინფორმირებული საკუთარი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უფლებების ან კონკრეტული პოლიტიკისა და პროცესების შესახებ უსაფრთხოების სექტორში. ისეთი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებით, როგორცაა მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა და პოლიციის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენა, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმაზე ზეგავლენის მოხდენა პარლამენტის წევრებთან დაკავშირების გზით, საზოგადოება უფრო ჩაერთვება უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულებასა და მათი საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფაში. გენდერულ და უსაფრთხოების სექტორის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის მაგალითია:

- მრგვალი მაგიდის ირგვლივ დისკუსიების ან სემინარების მოწყობა გენდერული და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე.
- უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების მიერ მასალების, მაგ., ლიფლეტების მომზადება ადამიანის უფლებების დარღვევის, მათ შორის გენდერული ძალადობის შესახებ საჩივრის მოსამზადებლად.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ადვოკაციასა და ცნობიერების ამაღლებაში მხოლოდ ქალთა ორგანიზაციები არ მონაწილეობენ. ძალიან მნიშვნელოვანია მამაკაცებისა და ზოგადად მამაკაცების ორგანიზაციების მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორის ორგანიზაციების ზედამხედველობისა და გენდერული საკითხების, განსაკუთრებით კი გენდერული ძალადობის ირგვლივ ადვოკაციის პროცესში. მათი მონაწილეობა ძლიერ ზეგავლენას ახდენს ისეთ მხარეებზე, რომელიც ძირითადად მამაკაცებისგანაა დაკომპლექტებული. ძირითადი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების, მიდგომისა და პრაქტიკის ცვლილება გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულება ძალიან ეფექტურად შეუძლიათ მამაკაცებს.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ადვოკაციის კამპანიებში გენდერული საკითხების გათვალისწინება, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა დარწმუნდნენ, რომ გამოყენებული ენა გენდერულად სენსიტიურია; რომ კამპანია ცდილობს როგორც ქალებისა და გოგონების, ასევე მამაკაცებისა და ბიჭების უსაფრთხოებისა და მათ მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას; თანამშრომლობს ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; უზრუნველყოფს ქალების ფართო ჩართულობას. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს უსაფრთხოების სექტორის გენდერული ცვლილებების ადვოკაციაც შეუძლიათ გასწიონ, რაც მოიცავს:

- გენდერული პოლიტიკისა და გეგმების, მათ შორის უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებისათვის ქცევის კოდექსის ჩამოყალიბება.
- სტანდარტული გენდერული ტრენინგი პოლიციის, შეიარაღებული ძალებისა და სხვა უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის.
- დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული ძალადობის შესაბამისად პრევენციას, შემთხვევებზე რეაგირებასა და დარღვევების სანქცირებას.
- უფრო მეტი ქალების დაქირავება, შენარჩუნება და დაწინაურება უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებსა და სამთავრობო ორგანოებში.
- ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების უფრო ადეკვატური გამოყოფა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართული დაუცველობის აღმოფხვრისათვის.
- უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დარღვევების, მათ შორის გენდერული ძალადობის შესახებ ანგარიშგაღებულდება.

ჩანართი 4. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის გენდერული აუდიტის საფეხურები

1. **მიმოხილვა:** კონტექსტის მიმოხილვა გენდერული აუდიტის მნიშვნელოვან საწყის ნაბიჯს წარმოადგენს. მოცემული ქვეყნის გენდერული ექსპერტი მიმოხილვას მოაწყოებს როცა ხდება უსაფრთხოების სექტორის რეფორმა. მიმოხილვაში მოცემულია ინფორმაცია გენდერული საკითხების შესახებ, რომელიც ეხება არამხოლოდ აუდიტის ქვეყანაში არსებულ გენდერულ ურთიერთობებს, არამედ აუდიტის კონკრეტულ ფოკუსს. ეს მიმოხილვა მოიცავს სიღრმისეულ ინფორმაციას, რომელიც ხშირად მოკლე აუდიტის დროსაც გამოიყენება.

2. **ბრიფინგი და დისკუსია ფოკუს ჯგუფებში:** გენდერული აუდიტის ძირითადი მიმართულება განისაზღვრება მრავალფეროვანი ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებში გამართული დისკუსიების საფუძველზე. ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვან წყაროს უსაფრთხოების სექტორში მოღვაწე მნიშვნელოვან პირებთან სიღრმისეული ინტერვიუ წარმოადგენს.

3. **დოკუმენტების განხილვა:** დოკუმენტების განხილვა ავსებს ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფში გამართული განხილვის დროს მიღებულ ინფორმაციას და შესაძლოა გახდეს ემპირიული ინფორმაციისა და სხვა მონაცემების გადამოწმების წყარო.

ამ მხრივ პრობლემა შესაძლოა იყოს: საჭირო დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობა, არასრული დოკუმენტები, თანამშრომელთა მიმოსვლა და პროექტებისა თუ პროგრამების დასათაურებების შეცვლა განხორციელების ან ხელახალი დიზაინის ეტაპზე, განსაკუთრებით კი რეფორმის ფარგლებს გარეთ განხორციელებული პროექტების შემთხვევაში, რაც საჭირო დოკუმენტების მოძიებას ართულებს.

4. **შედეგების გავრცელება:** გენდერული აუდიტის დასრულების შემდეგ აუცილებელია მიღებული შედეგების გაზიარება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით კი მათთან, ვინც ჩართულია მოცემულ სექტორში.

ჩანართი 5. მამაკაცების ჩართვა ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოსაფხვრელად

თეთრი ბაფთის კამპანია (WRC) კანადაში 1991 წელს დაიწყო მამაკაცების გუნდის მიერ, რომლებიც ცდილობდნენ ქალების წინააღმდეგ ძალადობისათვის მოეღოთ ბოლო და ამ საკითხის ირგვლივ სხვა მამაკაცებიც გაენათლებინათ. საინფორმაციო კამპანიების, საჯარო გამოსვლებისა და მზარდი ქსელის მეშვეობით კამპანიის წევრებმა ალტერნატიული მამაკაცების, როგორც არაძალადობრივი სქესის ალტერნატიული ხედვა ჩამოაყალიბეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მამაკაცებსა და ვაჟებს პოზიტიური როლური მოდელი შესთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არ მუშაობენ უსაფრთხოების სექტორში, ამგვარი ქმედებები ხელს უწყობს დამოკიდებულებისა და ძალადობის კულტურის ცვლილებას, მათ შორის პოლიციასა და სამხედრო ძალებშიც. WRC ინოვაციურ მიდგომას გეთავაზობს საზოგადოებასა და ოჯახში აგრესიის მიზეზების აღმოფხვრით და ძლიერი მექანიზმია საზოგადოებრივი ინტერესის გასაღვივებლად, ცნობიერების ასამაღლებლად და არათანასწორი გენდერული როლებისა და

ურთიერთობების გამოსააშკარავებლად.

სხვა რესურსები მამაკაცების მიერ ქალების წინააღმდეგ ძალადობის კუთხით:

- 'Elimination of Violence against Women in Partnership with Men', Women in Development Section, ESCAP, 2006.
- 'Men as partners: South African men respond to violence against women and HIV/AIDS', Dean Peacock, EngenderHealth, 2002.
- 'Ending Violence Against Women in Eastern Congo: Preparing Men to Advocate for Women's Rights', Women for Women International, 2007.

მითითებები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ადვოკაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვისათვის

- ცნობიერების ამაღლებისადმი მიმართული კამპანია, რომელიც ზოგადად მოსახლეობისკენაა მიმართული შესაძლოა ადვოკაციის კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს, რომელიც ცდილობს უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკასა და პროგრამირებაზე ზეგავლენის მოხდენას.
- ფრთხილად დაგეგმეთ ადვოკაციის კამპანიები. გამოავლინეთ მთავარი დაინტერესებული მხარეები და სამიზნე თქვენი მესიჯებისათვის, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელები, რომელთაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ უსაფრთხოების სექტორში და უზრუნველყავით ადვოკაციის განხორციელება სანდო, გააზრებული და გენდერულად სენსიტიურ კვლევაზე დაფუძნება.
- გამოიყენეთ ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა უსაფრთხოების პოლიტიკის გადასინჯვა, რათა მოხდეს გენდერული საკითხების სამოქალაქო საზოგადოებრივ ადვოკაციაში ჩართვა.
- ადვოკაციის კამპანიებში ჩართეთ მამაკაცები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მუშაობს ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრაზე.

ცხრილი 1. ადვოკაციის კამპანიის დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელი კითხვები	
რა საკითხით ხართ დაინტერესებული და რა არის მისი წარმოშობის მიზეზი?	პოლიტიკის, ბიუჯეტისა და ა.შ. გადასინჯვა პრობლემის დადგენისა და კონკრეტული მონაცემების მისაღებად
როგორია თქვენი მიზნები და	მიზანი გულისხმობს კამპანიის

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

<p>ამოცანები?</p>	<p>გრძელვადიან დანიშნულებას, რომლის განხორციელებაც ადვოკაციისა და პრაქტიკული საქმიანობების შედეგად გახდება შესაძლებელი. ამოცანა უფრო მოკლევადიანი მიზანია, რომელიც კონკრეტული და გაზომვადი უნდა იყოს (ეს არ გულისხმობს შემოთავაზებულ საქმიანობას). მაგ.: „მთავრობა 2010 წლის ბოლოსათვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად საკონსულტაციო მექანიზმს ჩამოაყალიბებს თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ“.</p>
<p>რა კონკრეტული შედეგების მიღწევას ცდილობთ (მაგ., პოლიტიკის შემქმნელებისა თუ უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების ცნობიერების, ცოდნის დონის, დამოკიდებულებისა თუ ქცევითი ცვლილებების გამოწვევა)?</p>	<p>რა შეიცვლება ადვოკაციის შედეგად?</p>
<p>რა ინდიკატორებს გამოიყენებთ შედეგების მისაღწევად გავლილი პროგრესის დასაფიქსირებლად?</p>	<p>იფიქრეთ სხვადასხვა სახის პროგრესის შესახებ, რომელიც გინდათ დაინახოთ ადვოკაციის სტრატეგიის მოქმედების განმავლობაში, მაგალითად, პროცესის, ზეგავლენისა და შედეგების, თქვენს სამუშაო კონტექსტში მიღწეული ცვლილებები.</p>
<p>ვინ არის ძირითადი დაინტერესებული მხარე? როგორ არიან ისინი ჩართული თქვენი სტრატეგიის მიზნების, ამოცანების, შედეგებისა და ინდიკატორების შემუშავებაში? ვინ არიან მეორადი დაინტერესებული მხარეები და მნიშვნელოვანი პირები?</p>	<p>ძირითადი დაინტერესებული მხარეები მოიცავს მათ, ვისაც ცვლილებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ რომელსაც ამგვარი ქმედებისათვის დარწმუნება ესაჭიროება. მეორადი დაინტერესებული მხარეები მოიცავს ჯგუფებს, რომლის მხარდაჭერაც საჭიროა. პირველად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენს ის ჯგუფები, რომელიც სარგებელს მიიღებს</p>

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

	<p>მომხდარი ცვლილებიდან, ხოლო მნიშვნელოვანი პირები მოიცავს სამიზნე ჯგუფს უსაფრთხოების სექტორში, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს სტრატეგიას. ყოველ მხარესთან მუშაობა და მასზე ზეგავლენის მოხდენა აძლიერებს წარმატების შანსს.</p>
<p>რა კვლევა უნდა ჩაატაროთ ცოდნის, დამოკიდებულებისა და სხვათა შესახებ დაშვებების შესამოწმებლად?</p>	<p>როგორ მიწვდებით თქვენი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლობით ნაწილს? რა ტექნიკას გამოიყენებთ საკითხების შესახებ მათი მოსაზრებების გამოსარკვევად? როგორ მიწვდებიან ისინი ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ?</p>
<p>რა სახის მესიჯებია საჭირო დაინტერესებული მხარეების ყოველი ჯგუფისათვის, რათა მოხდეს საჭირო ცვლილების მიღწევა (მაგ., მათი ცოდნის დონის ამაღლება, პრაქტიკის ცვლილება)?</p>	<p>თქვენი მესიჯების შინაარსის გასაგებად და სწორად მისამართად გამოიყენეთ ფოკუს ჯგუფური განხილვები მედიის პრაქტიკოსებთან და სხვა სახის მედია კვლევა.</p>
<p>რა სახის კომუნიკაციის (მაგ., კვლევების პოპულარული ვერსიები, ფაქტების ფურცლები) არსები (პირისპირ კომუნიკაცია, სემინარები, მედია) და მოქმედებებია ყველაზე მეტად მიზანშეწონილი თქვენი ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის?</p>	<p>კარგად ჩამოყალიბდით, ვინ არის სამიზნე და რისთვის, გამოიკვლიეთ ჯგუფების წარსული და მიწვდით მათ შესაბამისი მესიჯების მეშვეობით. ასევე იფიქრეთ, ვინ მოახდენს კომუნიკაციას, ჩართეთ ის ადამიანები, რომლებსაც გარკვეული რეპუტაცია და სანდოობა აქვთ დაინტერესებული მხარეების მხრიდან.</p>
<p>როგორია თქვენი ადვოკაციის სტრატეგიის ვადები/სამუშაო გეგმა? რომელია ძირითადი დღეები თუ დონისძიებები, რომლის დროსაც მოხდება მესიჯებისა და მასალების გამოშვება?</p>	<p>სტრატეგიის დაგეგმვის დროს ჩამოაყალიბეთ ვადები, რათა მოხდეს მოცემული თარიღების გათვალისწინება და დავალებების დროულად განაწილება. დათქვით მასალების გამოშვებისა და დისტრიბუციის თარიღები.</p>
<p>რამდენი თანხა გესაჭიროებათ</p>	<p>რესურსები მოიცავს ფინანსებს,</p>

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

<p>ადვოკაციის სტრატეგიის ბიუჯეტისათვის და რა უნარები, მასალები და ექსპერტიზა არის საჭირო?</p>	<p>მასალებს, ადამიანებსა და მათ გამოცდილებას, ასევე თქვენი ორგანიზაციის რეპუტაციას (სოციალური კაპიტალი) იმ კონკრეტული საკითხის ირგვლივ, რომელზეც ახდენთ ადვოკაციას.</p>
<p>როგორ შეაფასებთ და გაავრცელებთ თქვენი სტრატეგიის ზეგავლენასა და მიღებულ გამოცდილებას?</p>	<p>იფიქრეთ სამომავლო ადვოკაციის კამპანიებსა და სხვა ორგანიზაციებზე, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღონ თქვენი გამოცდილებისაგან.</p>
<p>როგორ უზრუნველყოფთ თქვენი ადვოკაციის სტრატეგიის მდგრადობას?</p>	<p>თუ თქვენ წარმატებით მოახერხეთ ცვლილების მოხდენა, უნდა იფიქროთ, თუ რამდენად უზრუნველყოფთ ცვლილებების მდგრადობას. თუ ადვოკაციის კამპანია პოლიტიკის დონეზე იყო ფოკუსირებული, მაშინ მნიშვნელოვანია პოლიტიკის განხორციელებაზე ფოკუსირება. ვინ უზრუნველყოფს ინტერვენციის სიცოცხლისუნარიანობას? რომელი მიდგომაა ყველაზე ეფექტური?</p>

4.6. მედიასთან მუშაობა

მედია განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოების სექტორის საჯარო განხვილებისა და თავდაცვისა და უშიშროების რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მედიასთან მუშაობენ მათი საინფორმაციო და ადვოკაციის კამპანიების გასაძლიერებლად.

ჟურნალისტები და მედიაში მომუშავე სხვა პირები ყოველთვის არ იცნობენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გენდერულ საკითხებს, ან არ აქვთ ქალებთან საუბრისა და ინფორმაციის მიღების გამოცდილება. თვით მედიის დაწესებულებებსაც ნაკლებად გააჩნიათ გენდერული პოლიტიკა ან წესები. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ითანამშრომლონ მედიასთან და ასწავლონ, თუ როგორ მოიპოვონ ინფორმაცია და მოახდინონ უსაფრთხოების საკითხების გენდერული სენსიტიურობის გათვალისწინებით გადაცემა. მედიისათვის შესაძლოა ასევე ძნელი იყოს სხვადასხვა ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევების, მათ შორის უსაფრთხოების ძალების მიერ გაუპატიურების მდგომარეობითი სქესის მოწმესა თუ მსხვერპლთან

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

დაკავშირება. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფასილიტატორის როლის შესრულება და საჯაროდ ინფორმაციის გამჟღავნებელი მსხვერპლის დახმარებაც შეუძლიათ.

!! მითითებები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მედიის უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის

- გამოიყენეთ მედია ადვოკაციის მესიჯების ფართო მასშტაბით გასავრცელებლად. იმუშავეთ მცირე გაზეთებთან, სათემო რადიო სადგურებთან და ადგილობრივ სატელევიზიო სადგურებთან, ასევე სახელმწიფო მედიასთან.
- უზრუნველყავით ჟურნალისტებისა და მედიის სხვა თანამშრომლებისათვის გენდერული საკითხების გაცნობა უსაფრთხოების სექტორში და თუ როგორ უნდა გენდერულად სენსიტიური ენის გამოყენება (იხ. ჩანართი 7).

ჩანართი 6. მითითებები მედიასთან მუშაობის შესახებ გამაძლიერებელი ეფექტის მისაღწევად

ძირითადი გზავნილები

- გამოავლინეთ 2-3 მოსაზრება, რომლის გაუღებებაც გინდათ და მიჰყევით მას.
- ყოველთვის დაუბრუნდით ამ საკითხებს ინტერვიუს დროს.

ისაუბრეთ ერთხმად

- კოალიციური მუშაობის შემთხვევაში დარწმუნდით, რომ ყველა წევრს კარგად ესმის მესიჯები, რომელიც გადაეცემა პრესას.
- სასურველია სპიკერის დანიშვნა.

პირდაპირ დაუკავშირდით პრესას

- იყავით აქტიური – ნუ გამოეხმაურებით მხოლოდ იმ საკითხებს, რომელიც უკვე პრესაშია, არამედ გაუგზავნეთ მათ ისტორიები და პრეს რელიზები.
- რედაქტორს მისწერეთ დებატების გამომწვევი წერილი – ეს მოკლე და მრავლისმეტყველი უნდა იყოს.

გაუადვილეთ

- მიაწოდეთ ლაკონური და გარკვეული წერილობითი ინფორმაცია, მაგ., პრესის საინფორმაციო შეკვრა ან ბრიფინგი. ეს უნდა მოიცავდეს საკონტაქტო ინფორმაციას, ადვოკაციის საკითხს, საკითხის ისტორიას,

ინფორმაციას მოწინააღმდეგე შეხედულებების, ფაქტებისა და სტატისტიკის შესახებ.

პრეს ბრიფინგები/რელიზები

- გახსოვდეთ ვადები და იცოდეთ პრესასთან დაკავშირების საუკეთესო დრო.
- პრესის შეკვრა ადგილზე გქონდეთ ნებისმიერი შემთხვევის დროს.
- გააცანით მიმოხილვა, რათა ჟურნალისტებს თავად შეეძლოთ გამოძიების ჩატარება.

იყავით სანდო წყარო

- გახდით დასაყრდენი წყარო, რათა პრესა თქვენთან და თქვენს ორგანიზაციასთან მოვიდეს უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებით სანდომიანობა ხშირად ტექნიკურ ცოდნასთანაა დაკავშირებული.
- მედია მოიწვიეთ მხოლოდ მაშინ, როცა მნიშვნელოვანი რამ გაქვთ სათქმელი.
- თუ იყენებთ სტატისტიკას, დარწმუნდით, რომ იგი სანდოა.

ტელევიზიით და რადიოში გამოცენა

- შემოიფარგლეთ ძირითადი მესიჯებით.
- გაიარეთ ტრენინგი ინტერვიუს ტექნიკის შესახებ.

შეაფასეთ თქვენი კამპანია

- დოკუმენტური სახე მიეცით და შეაფასეთ პრესაში გამოჩენა და ისწავლეთ წინა კამპანიების გამოცდილებიდან.

4.7. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების პერსონალის შესაძლებლობების გაზრდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რაც მათ ყოველდღიური საქმიანობის გენდერული საკითხების გათვალისწინებით განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. გენდერული შესაძლებლობა ჩვეულებრივ უნარს წარმოადგენს და შესაბამისად, საჭიროა მისი შეძენა. ტრენინგი შესაძლოა უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილების გამოწვევის ძალიან ეფექტური გზა იყოს და მნიშვნელოვანი ელემენტია უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში. გენდერის ტრენინგი შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და უსაფრთხოების სექტორის პროფესიონალთა შორის ურთერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის პროცესი გახდეს.

სტანდარტულ სამხედრო, პოლიციის ან კერძო უსაფრთხოების პროგრამებში გენდერული ტრენინგის ჩართვა ყოველთვის არ ხდება. ასევე არ გვხვება ეს ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის შესახებ პარლამენტარების, თავდაცვის სამინისტროს წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგის დროს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ასეთი ტრენინგები ტარდება, იგი არ არის ერთგვაროვანი, სავალდებულო ან მრავლისმომცველი.

ჩანართი 7. მედიის მიერ საკითხების გენდერის გათვალისწინებით გაშუქება

გენდერული საკითხების კომუნიკაციისათვის ჟურნალისტები უნდა დააკვირდნენ, თუ როგორ ხდება ადამიანების გარიყვა მათი სქესის მიხედვით. ამ შემთხვევაში შემდეგი კითხვები უნდა დაისვას:

- ვისი საკითხებია გაშუქებული?
- რა პერსპექტივიდან?
- რა ჩარჩოს გამოყენებით?
- რა სახის სტერეოტიპებია გამოხატული ადამიანების შესახებ?
- უწყობს თუ არა ხელს რეპორტაჟი გენდერული თანასწორობის განვითარებას, თუ მისი მეშვეობით მხოლოდ ტრადიციული ღირებულებებისა და დამოკიდებულების გადაცემა ხდება?
- ხდება თუ არა ქალებისა და მამაკაცების პრობლემების გამოცალკავება ზოგადად საზოგადოების პრობლემებისგან?

იხ. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პროფესიონალებსათვის

ქალთა ორგანიზაციებს გენდერის საკითხების შესახებ შესაძლოა სპეციფიკური ცოდნა და გენდერული ტრენინგის ჩატარების გამოცდილება ჰქონდეთ. შესაბამისად, მათ უსაფრთხოების სექტორის პერსონალის ტრენინგის ჩატარება ან არსებული ტრენინგ მოდულებისათვის კარგი რეკომენდაციების მიცემა შეუძლიათ. მათ გენდერისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ ასევე ცალკე ტრენინგის ჩამოყალიბება შეუძლიათ, რომელიც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას. გარდა გენდერული ტრენინგის ჩატარების კუთხით თანამშრომლობისა, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც გენდერული საკითხების ირგვლივ შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ შეუძლიათ:

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

- სტანდარტული გენდერული ტრენინგის კურიკულუმი ჩამოაყალიბონ უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა ინსტიტუტებისათვის, როგორცაა პოლიციელებისათვის ოჯახური ძალადობის ტრენინგი, რისი ადაპტაცია და გამოყენება ტრენერებს შეუძლიათ.
- ლობირება გაუწიონ პოლიტიკას, რომელიც უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის გენდერულ ტრენინგს სავალდებულოს გახდის.
- ადვოკაცია გასწიოს და მონაწილეობა მიიღოს გენდერული გაიდლაინების, სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებაში, რომელიც ერთფეარ პრაქტიკულ რესურსს წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის.
- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში გენდერული პოზიციის შესაქმნელად ლობირება გასწიოს, რათა ამ თანამდებობაზე მომუშავე პირმა შეძლოს გენდერული ტრენინგის კოორდინაცია, განხორციელება და მონიტორინგი.

ბოლო ხანებში ჩატარებული 140 პოლიტიკის შემქმნელი და პრაქტიკოსი პირის ელექტრონული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა 10 ძირითადი რეკომენდაცია უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების გენდერული ტრენინგისათვის:

1. ტრადიციული მამაკაცური როლებისა და ნორმების განხილვა.
2. მამაკაცების, როგორც გენდერულ საკითხებზე ტრენერების ჩართვა.
3. პრიორიტეტული უნდა იყოს ტრენინგი უფროსი რანგის მენეჯერებისა და ოფიციალური პირებისათვის.
4. გენდერული ტრენინგი უნდა ჩაერთოს უსაფრთხოების სექტორის ჩვეულებრივ ტრენინგში.
5. ტრენინგი უნდა განხორციელდეს ფართომასშტაბიანი გენდერული მენსტრინგის ფარგლებში.
6. უნდა მომზადდეს სამოქმედო გეგმა ან ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს გენდერულ ტრენინგს.
7. სამშვიდობო პერსონალს ჩაუტარდეს გამგზავრების წინა ტრენინგი.
8. გამოყენებული უნდა იქნას არსებული ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებს შორის.
9. უზრუნველყოფილი უნდა იქნას გენდერულად სენსიტიური ენის გამოყენება.
10. უნდა ჩატარდეს გრძელვადიანი შეფასება და გამოვლინდეს ინდიკატორები.

ჩანართი 8. მონღოეთი – სამხედრო ტრენინგის პროგრამაში სექსუალური ჯანმრთელობის განათლების ჩართვა

მონგოლ ვიუენი (Mongol Vision), არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1998 წელს შეიქმნა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის აივ და შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად მამაკაცებისკენ, მათ შორის მონღოეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და ჯარისკაცებისკენაა მიმართული. ამ საქმიანობას ორგანიზაციის ჯანდაცვის პოლიტიკის კომიტეტი უძღვებოდა, რომელშიც მონღოეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილეს მონაწილეობდა.

საკითხი: მონღოეთის შეიარაღებული ძალების ახალწვეულებმა, განსაკუთრებით კი სოფლებში მაცხოვრებლებმა ცოტა რამ იციან აივ და შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ. შესაბამისად, ამ დაავადებების მახვენებლები ოფიცრებსა და ჯარისკაცებში საკმაოდ მაღალია.

მიზანი: თავდაცვის სამინისტროსა და მონღოეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის მოპოვება ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის აივ და შიდსის, ასევე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

ძირითადი პარტნიორები: თავდაცვის სამინისტრო და მონღოეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბი.

პირველადი პარტნიორები: ჯარისკაცები/ოფიცრები და მათი სექსუალური პარტნიორები.

მიდგომა და კომუნიკაცია: თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მთავარ შტაბს დაეგზავნათ წერილები, მაღალი რანგის პირებთან ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრები ჩატარდა, ოფიციალურ პირებთან ერთად პროექტი მომზადდა, ოფიციალურ პირებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, ოფიცრებმა და სამედიცინო პერსონალმა შეიარაღებულ ძალებში ამჟამად არსებული მდგომარეობა წარმოადგინეს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ.

წარმატებისა და მდგრადობის ინდიკატორები: სქესობრივი ჯანმრთელობა შეიარაღებული ძალების ოფიციალურ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაერთო, გაიზარდა მაღალი რანგის ოფიცრების ცნობიერების დონე, გაიზარდა თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერა, გაფართოვდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მასშტაბი.

ჩანართი 9. გენდერული ტრენინგის რესურსები

შესაბამისი ტრენინგების შესახებ იდეები შესაძლოა გაჩნდეს შემდეგი გენდერული ტრენინგის სახელმძღვანელოებიდან:

- *ინკლუზიური უსაფრთხოება, მდგრადი მშვიდობა: სახელმძღვანელო ადვოკაციისა და ქმედებისათვის* - მოიცავს მექანიზმებს ქალებისა და უსაფრთხოების, მართლმსაჯულების, მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად დაუცველი ფენების დაცვისა და სხვათა შესახებ. http://www.international-alert.org/our_work/themes/gender_training.php
- *მამაკაცებთან და ვაჟებთან გენდერული ძალადობის პრევენციის საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო* – მოიცავს საკითხავ მასალას, მაგალითებს, დასარიგებელ ლიტერატურასა და სავარჯიშოებს. <http://toolkit.endabuse.org>
- *ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო* – მოიცავს საერთაშორისო კანონმდებლობას, შეფასებას, დაცვას, საჯარო განათლებას, მონიტორინგსა და შეფასებას და ა.შ. http://www.unodc.org/pdf/Trafficking_toolkit_Oct06.pdf
- *გენდერული რესურსების ნაკრები სამშვიდობო ოპერაციებისათვის* – მოიცავს მიმოხილვას, ასახელებს ძირითად გენდერულ საკითხებს და პრაქტიკულ საშუალებებს. <http://pbpu.unlb.org/pbpu/genderpack.aspx>

!! მითითებები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის უსაფრთხოების სექტორის პერსონალის ტრენინგთან დაკავშირებით

- ჩატარეთ ტრენინგის საჭიროებების შეფასება, რათა გამოვლინდეს არსებული ტრენინგის საჭიროებები და გაუმჯობესების შესაძლებლობები.
- შექმენით ან წვლილი შეიტანეთ სტანდარტული გენდერული ტრენინგის მოდულების შექმნაში პოლიციისა და არმიის ახალწვეულებისათვის და არსებული ოფიცრებისათვის.
- შექმენით ქვეყანაში არსებული კვალიფიცირებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ტრენერების გუნდი, რომელსაც შეუძლია გენდერული ტრენინგის ჩატარება უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის.
- ტრენინგები გამოიყენეთ მთავრობის, არმიისა და პოლიციის წარმომადგენლებთან კავშირებისა და პარტნიორობების ჩამოყალიბებისათვის.
- ხელახლა ნუ გამოიგონებთ ველოსიპედს: გამოიყენეთ და გააუმჯობესეთ უკვე ჩამოყალიბებული გენდერული ტრენინგის მოდულები, რომელიც.

4.8. ქალთა ორგანიზაციები

ზედამხედველობის ინკლუზიურობისა და მოსახლეობის ადეკვატურად წარმოდგენის მიზნით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის პროცესში ქალთა ორგანიზაციების ჩართვა. უსაფრთხოების საკითხები ხშირად „მამაკაცების საქმედ“ მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, როგორც 3.3 პუნქტში იყო განხილული, ქალთა ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რისი გამოყენებაც უფრო ეფექტურად შეუძლიათ ზედამხედველობის ორაგნოებს. მათი განსხვავებული წევრებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ქალთა ორგანიზაციებს ზედამხედველობის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ:

- გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ქალებისა და მამაკაცების დაუცველობის საკითხების შესახებ ექსპერტებად გვევლინებიან.
- ქალთა ორგანიზაციებს ხშირად სხვადსხვა ჯგუფებზე, განსაკუთრებით ქალებსა და მარგინალიზებულ მოსახლეობაზე მიუწვდებათ ხელი და შესაბამისად, შესაძლოა ხელი ისეთი ინფორმაციის მოგროვება შეძლონ, რომელიც სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული.
- ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის კუთხით სპეციფიკური პერსპექტივების შემოთავაზება შეუძლიათ.
- ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები შესაძლოა განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებულები ქცევის სტანდარტებით, რომელიც ცდილობს უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მიერ ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის, მაგალითად, გაუპატიურების ან შეურაცხყოფის შემთხვევების მოგვარებას.

თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ქალთა საკითხებზე მომუშავე ყველა ორგანიზაცია არ ფარავს ქალების ყველა ჯგუფს და შესაძლოა ყოველთვის არ გააჩნდეს გენდერულ საკითხების სპეციფიკური ცოდნა.

ზედამხედველობის პროცესში ქალთა ორგანიზაციების სრული ჩართულობის გარეშე სამოქალაქო საზოგადოებაში არ იქნება მრავალფეროვანი ცოდნა და გამოცდილება, ან ვერ შეძლებს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებას მონიტორინგისა და ანალიზის პროცესში. თუმცა, ქალთა ორგანიზაციების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ეფექტური მონაწილეობის უნარი დაკავშირებულია მათ შესაძლებლობებთან. აუცილებელია გაუმჯობესდეს სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ცოდნის დონე უსაფრთხოების სექტორის შესახებ. უსაფრთხოების შესახებ ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ქალთა ორგანიზაციებში შესაძლოა ჩატარდეს ტრენინგები შემდეგ თემაზე:

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

- უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ძირითადი თეორია
- უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკა
- გენდერულ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკური ჩარჩი და სტანდარტები და როგორ შეიძლება მათი ადვოკაციის ინსტრუმენტების სახით გამოყენება
- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები, მათი საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა
- გენდერული საკითხები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ზედამხედველობა
- უსაფრთხოების სექტორის გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტი
- გენდერული ზეგავლენის შეფასება.

ქალთა საკითხებზე მომუშავე და სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ორგანიზაციისათვის აუცილებელია ექსპერტის რეკომენდაციის ჩამოყალიბება, რათა უფრო გაძლიერდეს მათი ინფორმირებული ჩართულობა უსაფრთხოების სექტორის ორგანიზებთან. თუ გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებს ტექნიკური დახმარების გაწევის უნარი გააჩნიათ, ისინი უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების მნიშვნელოვანი პარტნიორები გახდებიან, რომლებიც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების რეფორმებზე მუშაობენ. ამის მსგავსად, ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებას ასევე ესაჭიროება გენდერული საკითხების შესახებ უფრო მეტი ცოდნის მიღება. გენდერული საკითხებისადმი ყურადღების ნაკლებობა ნიშნავს, რომ ისინი გენდერულ საკითხებს ნაკლებად გაითვალისწინებენ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში, ან გააჩნიათ შესაბამისი შესაძლებლობა და ცოდნა გენდერული საკითხების სამოქალაქო საზოგადოების არსებული ზედამხედველობის მექანიზმებში ჩასართავად (იხ. პუნქტი 4.9. გენდერულად სენსიტიური სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ). შესაბამისად, უფრო შეზღუდულია წარმოდგენა ქალების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მათ საქმიანობაში წვლილის შეტანის შესახებ.

ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი სტრატეგია შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად ფორუმებისა და კოალიციების შექმნა და უსაფრთხოების სექტორის გენდერული საკითხებისადმი ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის სტრატეგიების ჩამოყალიბება წარმოადგენს. დიდ ბრიტანეთში მშვიდობისა და უსაფრთხოების გენდერული აქციის წევრებმა ტრენინგი ჩაუტარეს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვისა და სამხედრო წვრთნის აკადემიებსა და რეგიონალურ ორგანიზაციებს. სიერა ლეონეში რამდენიმე რეგიონის

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ეფექტურად თანამშრომლობს რაიონულ სამედიცინო დაწესებულებებთან, პოლიციის ოჯახური დახმარების განყოფილებებთან და იუსტიციის სექტორთან, რათა უზრუნველყონ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის ადეკვატური სამედიცინო და ფსიქოსოციალური დახმარების გაწევა და დანაშაულის შესაბამისად გამოძიება და დასჯა. ამით სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებს შორის გამჭვირვალობისა და ნდობის ჩამოყალიბება ხდება.

ჩანართი 10. დიდი ბრიტანეთის ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2000) 1325 რეზოლუციისა და შეიარაღებული ძალების გენდერული ტრენინგის შესახებ

2006 წლის მარტში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ეროვნული სამოქმედო გეგმა გამოსცა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1325 რეზოლუციის განხორციელების შესახებ. გეგმის შემუშავების დროს უაითჰოლის ჯგუფი 1325 (საგაერო და კეთილდღეობის ოფისის, თავდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო განვითარების დეპარტემენტის წარმომადგენლების წევრობით) კონსულტაციებს იღებდა მშვიდობისა და უსაფრთხოების გენდერული აქციისგან, ბრიტანეთში განთავსებული სამოქალაქო ორგანიზაციებიდან, რომლებიც ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობენ.

მშვიდობისა და უსაფრთხოების გენდერული აქცია თავდაპირველად ბრიტანეთის ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების ჯგუფის სახით ჩამოყალიბდა, ხოლო 2004 წელს International Alert-ის მიერ მოხდა მათი წახალისება ბრიტანეთის მთავრობის მიერ გაეროს 1325 რეზოლუციის განხორციელების პროცესში გენდერულ და უსაფრთხოების სექტორის საკითხებზე ცოდნის ამაღლებისა და რეზოლუციის შესრულების პროცესის მონიტორინგის განსახორციელებლად. აქცია ფორმალურად 2006 წლის ივნისში დაფუძნდა, ხოლო ამჟამად მისი წევრთა რიცხვი 14 ორგანიზაციასა და პირს მოიცავს. მას მიეცა ეროვნული სამოქმედო გეგმის ირგვლივ მოსახრებების წარდგენის საშუალება, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა ცალკე იქნა გამოყოფილი, როგორც გეგმის ერთ-ერთი მიმართულება.

მთავარ საჭიროებად გენდერული ტრენინგი დასახლდა, ხოლო გეგმის დამტკიცების შემდეგ ჩამოყალიბდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისათვის გენდერული ტრენინგის ჩატარების სქემა და მისი გაუმჯობესების საშუალებები. გარდა ამისა, ორგანიზაციამ ძირითად პარლამენტარებსა და ქროს-უაითჰოლის ჯგუფთან ერთად გაეროს 1325

რეზოლუციის შესახებ ასოცირებული საპარლამენტო ჯგუფი ჩამოაყალიბა. იგი ერთ-ერთი იმ რამდენიმე ორგანიზაციათაგანია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს პარლამენტარებთან მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. ორგანიზაციამ ხელი შეუწყო გენდერული ტრენინგის შესახებ ქვეჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც ამჟამად თავდაცვის სამინისტროს გენდერული ტრენინგების გაუმჯობესებასა და ჩატარებაში ეხმარება, ინფორმაციას აგროვებს და კვლევას ატარებს ამ გენდერული ტრენინგის ზეგავლენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის ცნობილი შემდგომი მონაცემები, ეს მოდელი შესაძლოა გენდერული ტრენინგების მოწყობისათვის სხვა ქვეყნების მასშტაბითაც მნიშვნელოვანი და სასარგებლო გახდეს.

ჩანართი 11. ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ლობირება ირანის, რუსეთისა და დასავლეთ აფრიკის უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული რეფორმისათვის

რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტების გაერთიანება რუსულ არმიაში ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და შეურაცხყოფებისადმი ყურადღების მიქცევისა და ჯარისკაცებისათვის, განსაკუთრებით კი ჩენჩეთის ომის ირგვლივ გაუმჯობესებული მექანიზმებისა და კეთილდღეობის ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა. გაერთიანების წევრებმა საზოგადოებრივი კამპანიები ასევე ჩაატარეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ და ჯარისკაცებისათვის ამნისტიის შესახებ. ორგანიზაციამ ნაწილობრივ შეძლო რუსეთის სამხედრო პოლიტიკაზე ზეგავლენა და თავისუფლებისა და დაცვის უზრუნველყოფა ბევრი ახალწვეულისათვის.

კონფლიქტის დროს ქალთა ორგანიზაციები ხშირად ერთიანდებიან, რათა გამოავლინონ პრიორიტეტები უსაფრთხოების, პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური კუთხით. მაგალითად, 2003 წელს ვაშინგტონში ჩატარებული კონფერენციის დროს ერაყელმა ქალებმა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სათავრობო სამინისტროებისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებმა რამდენიმე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წარმატებისათვის საჭირო რამდენიმე ძირითადი საკითხი გამოავლინეს. ამ საკითხებს შორის იყო საზღვრის კონტროლი, ქვეყანაში პოლიციის რაოდენობის ზრდა, ქუჩის განათების გაუმჯობესება და პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების გენდერულ და ადამიანის უფლებათა საკითხების ირგვლივ ტრენინგი. ამგვარი ინფორმაცია მნიშვნელოვანი რესურსია უსაფრთხოების პოლიტიკის შემქმნელებისა და ზედამხედველობის ორგანოებისათვის და საჭიროა ქალთა ორგანიზაციების მიერ გაწეული რეკომენდაციების უსაფრთხოების სექტორის ფორმალური განხილვისა და პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართვა.

დასავლეთ აფრიკის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული მმართველობის ქსელისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით დასავლეთ აფრიკის ქალთა სამშვიდობო ქსელმა სპეციფიკური მეთოდოლოგია ჩამოაყალიბა გენდერის საკითხების მეინსტრიმინგისა და უსაფრთხოების სექტორში ქალთა საკითხების გასათვალისწინებლად. შემდგომი საქმიანობის სახით ორგანიზაცია აპირებს ექსპერტებისა და ქალთა ჯგუფების ტრენინგს გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესახებ.

!! მითითებები ქალთა ორგანიზაციების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში ჩასართავად

- გამოიკვლიეთ, რა საქმიანობას ახორციელებენ ქალთა ორგანიზაციები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან უსაფრთხოების სექტორისადმი ადვოკაციის მიზნით და ჩართეთ ისინი ფორმალური ზედამხედველობის მექანიზმებში.
- ქალთა ორგანიზაციებს ჩაუტარეთ ტრენინგი უსაფრთხოების საკითხების შესახებ, რათა სამოქალაქო საზოგადოებრივი, სამთავრობო და სხვა სახის პარტნიორობთან ერთად უფრო ეფექტურად ჩაერთონ უსაფრთხოების საკითხების განხილვაში.
- შექმენით მექანიზმები ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესაბამის სამთავრობო დეპარტამენტებთან დასაკავშირებლად, რათა უკეთ შეძლონ დაკავშირება და ზეგავლენის მოხდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დებატების ირგვლივ.

ჩანართი 12. უსაფრთხოების დაწესებულებებთან პარტნიორობა ბოგანვილში ძალადობის აღმოსაფხვრელად

პაპუა ახალი გვინეის ბუგანვილის ქალთა ჯგუფებმა კონფლიქტის დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს როგორც მოწინააღმდეგე მხარეებთან პირდაპირი მოლაპარაკებების, ასევე ყოფილი მებრძოლების რეინტეგრაციისა და სამშვიდობო განათლების მეშვეობით. უფრო კონკრეტულად, უსაფრთხოების სექტორში რამდენიმე ინიციატივით ჩაერთვნენ:

- ქალებმა ქალთა უფლებების შესახებ ტრენინგები ჩაუტარეს ყოფილ მებრძოლ მამაკაცებს. ამან პირდაპირ იმოქმედა ამ მამაკაცების მიერ ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების შემცირებაზე.
- ქალთა ჯგუფებმა მამაკაცები დაიჭირავეს და ტრენინგები ჩაუტარეს, რათა მათ შემდგომში ყოფილი მებრძოლები თავად გაენათლებინათ ქალთა საკითხების, აივ და შიდსისა და სკოლებსა თუ სოფლებში

კონფლიქტების გადაჭრის შესახებ.

- ლეიტანა ნეანის ქალთა განვითარების სააგენტო პოლიციასთან თანამშრომლობით გენდერულ ტრენინგს ატარებს პოლიციის ახალი თანამშრომლებისათვის. იგი საინფორმაციო შეხვედრებსაც ატარებს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის უარყოფითი შედეგების შესახებ.

4.9. სამოქალაქო საზოგადოებრივი ქსელი

ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო ძლიერები არიან, როცა ერთობლივად მუშაობენ. ქსელის მეშვეობით იზრდება რიცხოვნობა და ცალკეული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაცულია შეურაცხყოფისა და პოლიტიკური ზეწოლისაგან. ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიერ რეფორმის მხარდაჭერის ჩვენებაა.

ეს ნათელი გახდა, როცა 2000 წელს 11 ორგანიზაციამ *არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის* ჩამოაყალიბდა გაეროს უსაფრთხოების კომიტეტის 1325 რეზოლუციის მისაღებად. რეზოლუცია 2000 წლის 31 ოქტომბერს ერთხმად იქნა მიღებული. მას შემდეგ სამუშაო ჯგუფის ფოკუსმა ამ რეზოლუციის განხორციელების მხარდაჭერისაკენ გადაინაცვლა, რაც ხელს უწყობს გენდერულ პერსპექტივასა და ადამიანის უფლებების დაცვას გაეროს წევრ ქვეყნებში სამშვიდობო და უსაფრთხოების, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მართვის, ასევე მშვიდობის აღმშენებლობის პროცესში.

ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საკითხების ეროვნულ განხილვაში პირდაპირ ჩართვა შესაძლოა რთული აღმოჩნდეს უფრო დახურული ან თუნდაც არასასურველი პოლიტიკური გარემოს გამო. უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში და მექანიზმებში რეგიონალურ დონეზე მონაწილეობა შესაძლოა ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემქმნელებისადმი ზეწოლის განხორციელების კარგი საშუალება იყოს. ცალკეული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეპუტაცია ხშირად მათ რეგიონალურ თუ საერთაშორისო ქსელის წევრობაზე ან საერთაშორისო პარტნიორებზეა დამოკიდებული. ამ მხარდაჭერის გამოყენება შეიძლება უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის დროს მთავრობასთან დასაკავშირებლად.

ამგვარი ქსელის აგება ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო დონის დიალოგებითაა შესაძლებელი. სამუშაო შეხვედრებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შედეგად შესაძლოა კონკრეტული უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ უფრო კარგი წარმოდგენა შეიქმნას. ასევე შესაძლოა პროგრესული ცვლილებით დაინტერესებული

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

ორგანიზაციების ქსელის შექმნა. იმის გამო, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანი მთლიანად საზოგადოების საჭიროებების, და კონკრეტულად გენდერული საკითხების გათვალისწინებაა, ქსელის ლეგიტიმურობა პროპორციულად გაიზრდება შემდეგ შემთხვევებში:

- ქსელში წარმოდგენილი ჯგუფებისა და ორგანიზაციების მრავალფეროვნება. მუდმივად უნდა ხდებოდეს ამგვარი ჯგუფების მოძიება და გაცნობა.
- საერთო პრინციპების შექმნა ქსელისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ცალკეული წევრების საქმიანობის წინააღმდეგობები.
- ქსელში სტრატეგიული ინფორმაციის მიზნით წარმოდგენილია სპეციალიზირებული ცოდნა უსაფრთხოების სექტორის მუშაობის პოლიტიკის შექმნის პროცესისა და გენდერის შესახებ.
- ქსელის შიგნით არსებობს სპეციალიზირებული ცოდნა, რომელიც სხვა გზით არ იქნება ცნობილი პოლიტიკის შემქმნელებისათვის.
- ქსელის შიგნით იმ პირებისა და ექსპერტების არსებობა, რომლებიც პოლიტიკის შემქმნელების პატივისცემით სარგებლობენ.

4.10. გენდერულად სენსიტიური სამოქალაქო სამართლებრივი ორგანიზაციები

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ჩართულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შიდა პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვის ვალდებულება აკისრიათ, რათა თავის საქმიანობაში უფრო კარგად ასახონ გენდერული თანასწორობის იდეები. მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციების მიერ სრული წარმომადგენლობითობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობას უწყობს ხელს.

თუმცა, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესობა ვერ ახერხებს გენდერული ბალანსის დაცვას და თანამშრომლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საჭირო უნარები და შესაძლებლობები გენდერული საკითხების სამუშაო პროცესში გასათვალისწინებლად. ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თანამშრომლების დაქირავების, დაწინაურებისა და ადამიანური რესურსების განვითარების პროცესში გენდერული ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო. ასევე საჭიროა სპეციფიკური მექანიზმების ჩამოყალიბება სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისა და სქესობრივი შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით. შიდა ქცევის წესები, პოლიტიკა და მითითებები ამ სტანდარტების შესრულების ერთ-ერთი გზაა (იხ. ჩანართი 13). გენდერთან დაკავშირებული კრიტერიუმების თანამშრომლების საქმიანობის შეფასების პროცესში ჩართვა კიდევ უფრო გააძლიერებს თანამშრომლების მიერ სამუშაოს პროცესში გენდერული საკითხების გათვალისწინებას. უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაზე მომუშავე

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს მდებარეობითი სქესის თანამშრომლების მოზიდვა, დაქირავება და შენარჩუნება უკეთესი დაქირავებისა და სამუშაოსა და პირადი ცხოვრების დასაბალანსებელი პოლიტიკის მეშვეობით შეუძლიათ.

მნიშვნელოვანია გენდერული საკითხების უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა პოლიტიკასა თუ პროგრამაში გატარება. ამ პროცესში ხშირად გადამწყვეტია გენდერული საქმიანობის შესაბამისი დაფინანსება და ორგანიზაციის შიდა ცოდნა და შესაძლებლობა. ყველა თანამშრომელს უნდა ჩაუტარდეს სპეციფიკური ტრენინგი, რომელიც მათი ტექნიკური შესაძლებლობებისა და ცოდნის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს გენდერული საქმიანობის კუთხით. შიდა გენდერული აუდიტისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა ასევე მნიშვნელოვანი საფეხურია გენდერული საკითხების უკეთ ჩართვის კუთხით.

!! მითითებები ორგანიზაციებისათვის გენდერული საკითხების უკეთ გათვალისწინების მიზნით

- ჩამოაყალიბეთ კარგად გააზრებული გენდერული და თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების საკითხებს; სამუშაოს შესრულების დონე და სექსუალურ შეურაცხყოფასა და დისკრიმინაციის საკითხები, რაც ასევე მოიცავს ქცევის წესებს.
- გადასინჯეთ სამუშაოს აღწერები და მოთხოვნები, რათა არ მოხდეს ქალებისა თუ მამაკაცების წინააღმდეგ რაიმე დისკრიმინაციის დაშვება.
- გენდერული საკითხების შესახებ ტრენინგი ჩაუტარეთ როგორც თანამშრომლებს, ასევე მოხალისეებსაც.
- ორგანიზაციის შესაძლებლობების შეფასების მიზნით ჩაატარეთ შიდა გენდერული აუდიტი.
- დონორები, რომელიც უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობას უწყობენ ხელს, ხშირად ითხოვენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გენდერული საკითხების გატარებას.

5. სპეციფიკურ კონტექსტში განხორციელებულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობაში გენდერული საკითხების ინტეგრაცია

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობისათვის ერთი კანკრეტული მოდელი არ არსებობს, ვინაიდან ეს პროცესი სხვადასხვა დონეზე ხორციელდება და განსხვავდება რეგიონებისა და კონტექსტის მიხედვით.

5.1. კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე მყოფი ქვეყნები

კონფლიქტების დროს სქესობრივი და გენდერული ძალადობის გამო ქალები განსაკუთრებულად დაუცველები არიან. ეს დაუცველობა ხშირად კონფლიქტის დასრულების შემდეგაც გრძელდება. უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლები, რომლებიც კონფლიქტის განმავლობაში ხშირად უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს, მშვიდობიანობის დროსაც ხშირად აგრძელებენ მსგავს საქმიანობას. გარდა ამისა, კონფლიქტის დროს განხორციელებული როლების გამო სახელმწიფოს მიერ სანქცირებული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა გარკვეულ ადგილებში შესაძლოა მოშლილი იყოს, ან დაკარგული ჰქონდეს ლეგიტიმურობა.

მაგალითები გვიჩვენებს, რომ გენდერული როლები და ურთიერთობები კონფლიქტის დროს ასევე ხშირად იცვლება, რაც ცვლილების მოსახდენად მნიშვნელოვან ადგილს წარმოშობს. მაგალითად, კონფლიქტის დასრულებისა და აფრიკის პირველი მდებარეობითი სქესის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ 2006 წლის თებერვალში წელს ლიბერიამ ახალი კანონი, გაუპატიურების კანონი შემოიღო. ქალთა ორგანიზაციები, როგორცაა ლიბერიის იურისტ ქალთა ასოციაციამ ამ ახალი კანონმდებლობის შემუშავებისა და მისი გაცნობის კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როლების ასეთ ცვლილებას ასევე შეუძლია ახალი საფრთხის წარმოშობა – არსებული დაუცველობის მოგვარების შემცირებული შესაძლებლობები ან კონფლიქტის დასრულების შემდეგ ტრადიციული როლების შეზღუდვა.

უფრო მეტიც, ქალებისა და გოგონების სხვადასხვა საფრთხისგან დასაცავი კანონები, სტრუქტურები და მექანიზმები ხშირად აღარ არსებობს ან შესაბამისად ვერ ფუნქციონირებს, რაც უფრო ამცირებს მათი დაცვისათვის საჭირო საშუალებებს. სახელმწიფო დაწესებულებები ხშირად ძალიან სისტემი არიან და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური ნება, არ არსებობს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური საშუალებები უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს, უნდა გვახსოვდეს, რომ კონფლიქტის შემდეგ განხორციელებული უსაფრთხოების სექტორის რეფორმა შეიძლება ამ სექტორის სტრუქტურებსა და პროცესებში გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის შანსი გახდეს.

კონფლიქტის შედეგად სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები შესაძლოა ფრაგმენტირებული ან დასუსტებულები იყვნენ და შესაბამისად მათი მოვალეობების ეფექტურად შესრულება ვერ შეძლონ. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა უფრო იზრდება კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, ვინაიდან

მიმდინარე უსაფრთხოება და სამხედრო და პოლიციის რეფორმა ბევრი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი საკითხია, რაც მათ ერთად მუშაობის შესაძლებლობას აძლევს.

ჩანართი 13. ოქსფამის გენდერული პოლიტიკა

ოქსფამმა მნიშვნელოვანი გზა გაიარა გენდერული ორგანიზაციის საქმიანობასა და შიდა პრაქტიკაში გენდერული საკითხების ჩართვის მიდგომის შესაქმნელად. გარდა თანაბარი შესაძლებლობებისა და მრავალფეროვნების პოლიტიკისა, ოქსფამმა გენდერული პოლიტიკა ჩამოაყალიბა, რომელიც ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების გარკვეულ ვალდებულებებს განმარტავს. ეს პოლიტიკა გამოიყენება ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და თანაბარი წარმომადგენლობის მიზნით გამოიყენება და ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობაში გენდერული საკითხების გატარების შესამოწმებელი ერთგვარი მექანიზმია. მიუხედავად იმისა, რომ ოქსფამი კონკრეტულად უსაფრთხოების საკითხებზე არ მუშაობს, მისი პოლიტიკა კარგი მაგალითია უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ჩართული სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. გენდერული პოლიტიკის ზოგიერთი რეგულაციაა:

- მენეჯერები ორგანიზაციის სხვადასხვა ჯგუფებსა და გაერთიანებებს ხელს უწყობენ გენდერული თანასწორობის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. გენდერული ტრენინგი ზელმისაწვდომია თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის.
- ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩვენ გენდერულ თანასწორობას ვაჩვენებთ შესაბამისი გუნდური თუ ინდივიდუალური ამოცანების დასმით, ასევე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის შესაბამისი თანამშრომლებისა და რესურსების გამოყოფით.
- ყველა დანაყოფის მენეჯერი შეიმუშავებს და წარმოადგენს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ გაზომვად ამოცანებსა და საქმიანობას. ჩვენი მენეჯმენტის, ადამიანური რესურსებისა და ფინანსური სისტემები ხელს უწყობს ჩვენს გენდერულ საქმიანობას.
- გენდერული საკითხების შესახებ ინფორმაციის არსებობა გამოიყენება თანამშრომლების დაქირავების კრიტერიუმად, ასევე თანამშრომლებისა და მოხალისეების განვითარების პროცესში.
- ორგანიზაციის შიგნით ვუზრუნველყოფთ ოჯახისადმი მეგობრულ სამუშაო პრაქტიკას, რომელიც როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს სამუშაოსა და ოჯახურ ცხოვრებაში სრულად მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

ჩანართი 14. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისები – გენდერული საკითხების პირველწყარო

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ბევრი ქვეყნის მთავრობამ სხვადასხვა მოდელის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისები ჩამოაყალიბა:

- ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, სლოვაკია, სლოვენია: ოფისის ფუნქციებს ბიუროკრატიული ჯგუფი და ფართო წარმომადგენლობის მქონე მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს, რომლებიც არსებული კანონების, რეზოლუციებისა თუ წესდებების ფარგლებში მუშაობენ.
- უნგრეთი, რუმინეთი: სამთავრობო სტრუქტურები სამთავრობო-არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას მრჩეველთა საბჭოს გარეშე ახორციელებენ.
- ესტონია, ლატვია: არასამთავრობო-სამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობებს სხვა ფუნქციებთან ერთად არსებული დეპარტამენტები, მათ შორის ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციები ახორციელებენ.
- ლიტვა: არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას საკუთარი ინტერესის სფეროებში სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტები ახორციელებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისების მთავარი დანიშნულება მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს შორის ურთიერთობაა. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისები სპეციალურად უსაფრთხოების ან გენდერულ საკითხებზე სამუშაოდ არ არიან შექმნილები, მაგრამ ისინი უდაოდ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ამ საკითხებზე საუბრის დასაწყებად. ამ ოფისების გამოყენება ასევე შესაძლებელია უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკასა და პრაქტიკაში ცვლილებების შეტანის მიზნით მთავრობის შესაბამის წევრებთან ადვოკაციისათვის. ამ ოფისების, როგორც არსებული მექანიზმების გამოყენება უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობაში გენდერული საკითხების ჩართვის შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან ახალი ორგანოების შექმნა როგორც საკმაოდ დროს, ასევე რესურსებს მოითხოვს.

!! გენდერული საკითხების ინტეგრაციის შესაძლებლობები და მითითებები

- გენდერული ძალადობა კონფლიქტის დროს ერთ-ერთ სტრატეგიად გამოიყენება, ხოლო ბევრ შემთხვევაში ასეთი ფაქტები კონფლიქტის შემდგომ პერიოდშიც გვხვდება. მნიშვნელოვანია ამ დროს უსაფრთხოების

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

სექტორის დაწესებულებების მიერ ყოველდღიურ საქმიანობაში გენდერული ძალადობის ფაქტების მოგვარების ზედამხედველობა, ასევე პოლიციისა და სამხედრო ძალების მონიტორინგი, რათა მათი ამგვარ დარღვევებში ჩართულობა არ მოხდეს.

- სადაც შესაძლებელია, ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე გამოთქმული გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ჩართეთ უსაფრთხოების სექტორის შესახებ უფრო ფართო ადვოკაციის პროცესში.
- ხელი შეუწყვეთ საჯარო და სათემო დებატების გამართვას, რათა უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა თუ ხელახლა ჩამოყალიბების დროს გენდერული საკითხები პროცესის დასაწყისიდანვე ყურადღების ცენტრში მოხვდეს და არ გახდეს რეფორმის პროცესის მხოლოდ დანამატი.
- გამოავლინეთ ნებისმიერი არაფორმალური თუ ტრადიციული სტრუქტურა, რომელიც ქალებს პოლიტიკის შემქმნელებსა თუ თემის წევრებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას მისცემს. შეძლებისდაგვარად ეცადეთ მათი გაძლიერება.
- იმუშავეთ არასამართლებრივ სტრუქტურებთან ერთად, რომელთაც შეუძლიათ მართლმსაჯულების ზედამხედველობის უზრუნველყოფა ისეთ კონტექსტში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ამგვარი მომსახურების განხორციელება, განსაკუთრებით კი ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის კუთხით.
- ჩაატარეთ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესის შეფასება გენდერული კუთხით, ხოლო მიგნებები და რეკომენდაციები გაავრცელებთ მედიის საშუალებით და სამიზნე სამთავრობო თუ დონორ ოფიციალურ პირებთან.

5.2. გარდამავლობის ეტაპზე მყოფი და განვითარებადი ქვეყნები

გარდამავლობის ეტაპზე მყოფ და განვითარებად ქვეყნებს სხვადასხვა კონტექსტი გააჩნიათ და განსხვავდებიან სოციო-ეკონომიკური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების მიხედვით. დემოკრატიისაკენ ცვლილება გრძელვადიანი პროცესია, რომელსაც მოსახლეობის ყველა წევრისათვის თანაბარი სარგებელი მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან იზრდება, მოცემულ ეტაპზე არსებული უთანასწორობა შესაძლოა უფრო შესამჩნევი იყოს, ხოლო ქალები კი განსაკუთრებით განიცდიან ამ დაუცველობას გენდერული ძალადობის, ტრეფიკინგისა თუ სექსუალურ ინდუსტრიაში ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

როგორც განვითარებად, ასევე გარდამავლობის პერიოდში მყოფ ქვეყნებში კერძო უსაფრთხოების კომპანიები – როგორც წესი, სარასამთავრობო,

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

მიუედავად პარლამენტის მიერ გამოცემული კანონით რეგულირებისა – უსაფრთხოების მომსახურების მნიშვნელოვანი მიმწოდებლები ხდებიან. შესაბამისად, მათ მიმართაც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობა.

გარდამავლობის ეტაპზე მყოფ ზოგიერთ ქვეყანას შესაძლოა შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კარგად განათლებული კანდიდატები ჰყავდეს. ამავდროულად, ამ დაწესებულებებს შესაძლოა აკლდეთ დემოკრატიული ანგარიშვალდებულება და მმართველობის სტრუქტურებისა და პროცედურების გამჭვირვალობა. პოლიტიკურად, უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობა ეწინააღმდეგება ავტორიტარული რეჟიმის გადმონაშთებს, ცვლილებებისადმი ძლიერ ბიუროკრატიულ წინააღმდეგონას და ხშირად გაწყვეტილ ურთიერთობებს სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ეს პირობები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაძლებლობაზე ზედამხედველობა გაუწიოს უსაფრთხოების სექტორის მონაწილეებს და ზღუდავს დიალოგის შესაძლებლობას სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის უსაფრთხოების ირგვლივ არსებული საერთო პრობლემების შესახებ.

განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც გარდამავლობისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მყოფ ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. აფრიკაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განვითარების სფეროში დახმარების შედეგად კვლავ პრობლემად რჩება ადგილობრივ დონეზე მოცდილების არსებობა. სწორედ ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომ განვითარების მიზნები ჯერ კიდევ ვერ შესრულდა. დონორების მიერ წარმართულ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ინტერვენციებს შესაძლოა გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდეთ ეროვნული პროცესების მხარდაჭერის მიზნით. გარდამავლობის ეტაპზე მყოფი ქვეყნები შესაძლოა ასევე ეწინააღმდეგებოდნენ ზეწოლას რეფორმების განსახორციელებლად, მაგრამ ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრობა ზოგი ქვეყნისათვის რეფორმირების მნიშვნელოვანი სტიმული. ორივე ტიპის ქვეყანაში შეიარაღებული ძალები შესაძლოა ძალიან დიდი ზომის იყოს და შიდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ბევრ ფუნქციას ასრულებდეს. ამას ქალებისა და მამაკაცების უსაფრთხოებასა თუ მდგრად სოციო-ეკონომიკურ განვითარებას შესაძლოა არაერთი პრობლემა შეუქმნას.

კონფლიქტის შემდგომი კონტექსტის მსგავსად, ბევრ განვითარებად ქვეყანაში არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი წყაროები ხდებიან და კვეთენ ფორმალურ სახელმწიფო სისტემებს. ეს შესაძლოა მოიცავდეს ტრადიციულ სასამართლოებს, არასამართლებრივ მომსახურებასა და ადგილობრივი

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

თავდაცვის დანაყოფებს. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე მოქმედებენ, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მათი ქმედებების ზედამხედველობისათვის და მათი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესსა თუ საერთაშორისო დახმარების პროგრამებში ჩართულობის ადვოკაციის მიზნით. უფრო კონკრეტულად, აქცენტი უნდა გაკეთდეს უფლებამოსილების მართვაზე, მომსახურების მიწოდებასა და მათი, როგორც კონფლიქტის არაძალადობრივად გადაჭრის მექანიზმის ლეგიტიმურობაზე ქალებისა და მამაკაცების თვალში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ვერ ახერხებს პროფესიონალური განათლების მქონე იურისტების ფინანსურ უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ზოგ ადგილას პოლიცია შესაძლოა არ იყოს საკმარისად წარმოდგენილი რესურსების ნაკლებობის ან უსაფრთხოების მაღალი დონის გამო.

!! გენდერული საკითხების ჩართვის შესაძლებლობები და მითითებები

- თუ მოცემულ კონტექსტში არ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ოფისი, სამთავრობო სტრუქტურებთან ადვოკაცია გასწიეთ ყველაზე მწვავე პრობლემების გახმოვანების მიზნით (იხ. ჩანართი 14). დარწმუნდით, რომ ამ პროცესში გათვალისწინებულია გენდერული საკითხები და რომ ქალთა ორგანიზაციები ასევე ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისის საქმიანობაში.
- მხოლოდ უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციური განვითარების გარდა გარე მხარეებმა მხარი უნდა დაუჭირონ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას.
- სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ, თუ რამდენად ახდენენ ისეთი არასახელმწიფოებრივი მხარეები, როგორებიც არიან ხელმძღვანელები და კერძო უსაფრთხოების კომპანიები, როგორ ახორციელებენ უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებას, რამდენად ლეგიტიმურია მათი ქმედება და როგორი ხარისხისაა მიწოდებული მომსახურება. საჭიროა ინფორმაციის მოგროვების პროცესში გენდერულად სენსიტიური მეთოდების გამოყენება.
- თუ საჭირო და მიზანშეწონილია, მოახდინეთ შეიარაღებული ძალების შემცირების ადვოკაცია და წარმოადგინეთ გენდერული საკითხები, რომელიც გააფართოებს დებატებს უსაფრთხოების პროცესების შესახებ.

5.2. განვითარებული ქვეყნები

დემოკრატიული მმართველობის მქონე განვითარებულ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ზედამხედველობის როლის შესრულება, განსაკუთრებით კი გენდერული საკითხების ირგვლივ. ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთ დებატებში მონაწილეობით, სადაც განიხილება, თუ რა უნდა შედიოდეს ეროვნულ უსაფრთხოებაში; როგორ ხდება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მომსახურების მიწოდება ქალებისა და მამაკაცებისათვის; ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის გაძლიერება უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს ისეთი საკითხების განხილვა, თუ რა ზეგავლენა აქვს სამხედრო ძალებზე დახარჯულ დიდი ოდენობის დაფინანსებას სხვა სექტორებზე, მაგალითად, ჯანდაცვასა თუ განათლებაზე, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ადამიანების უსაფრთხოებისათვის.

უსაფრთხოების ძალების რესტრუქტურის ან ინსტიტუციონალური რეფორმების სტრატეგიულ პროცესში გენდერული საკითხების ჩართვა არამხოლოდ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობას უზრუნველყოფს. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს განხილვას ეროვნული უსაფრთხოების შესახებ და ამგვარად მოიცავს მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გარე პირების მოსაზრებებსაც. სამხრეთ აფრიკის თავდაცვის თეთრი დოკუმენტისა და სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება ერთგვარი მაგალითია, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები გენდერული საკითხებისა და თავდაცვის სფეროს ექსპერტებად გვევლინებოდნენ.

იხ. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნა და გენდერი

მათ მიერ წარმოდგენილი მოსახლეობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს კარგად შეუძლიათ ეროვნული უსაფრთხოების დებატებზე ზეგავლენის მოხდენა ადამიანების ყოველდღიური რეალობის ასახვით, ხოლო შემდგომში გადაწყვეტილების მიმღებთათვის მნიშვნელოვანი არხის როლს ასრულებენ. მათ ასევე შეუძლიათ გამოხატონ იმ ქალების სათქმელი, რომლებიც ხშირად ვერ ერთვებიან უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის დებატების ფორმალურ პროცესში. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ქვეყნების დონორი ორგანიზაციები რჩევებითა და ტექნიკური ცოდნით უზრუნველყოფენ ისეთ ქვეყნებს, როლებიც უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესში იმყოფებიან. მათ მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროგრამებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ზედამხედველობის გენდერული ასპექტების ჩასართავად. საერთაშორისო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ დახმარება

გასწონ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობისა და დონორებისათვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებულ დღის წესრიგში შესაბამისი მოსაზრებების მიწოდებით.

ჩანართი 15. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა სამხრეთ აფრიკაში – გენდერული საკითხების ჩართვა აპარტიდულიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის დროს

სამხრეთ აფრიკის დემოკრატიულ წყობაზე გადასვლა გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა თავდაცვის პროცესის ტრანსფორმაცია ხელსაყრელი პოლიტიკური გარემოსა და პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით ქალების ორგანიზებით, ასევე თვით უსაფრთხოების ძალების მიერ უფრო ფართო და ინკლუზიური პროცესების განხორციელებით. ამ პროცესიდან რამდენიმე ძირითადი გაკვეთილის მიღება შეიძლება, რომელმაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკის ცვლილების პროცესზე:

1. სამხრეთ აფრიკა უსაფრთხოების სექტორის ჩვეულებრივი რეფორმის ფარგლებს გასცდა და მოსახლეობასთან კონსულტაციები გაიარა უსაფრთხოების სექტორის შესახებ, ხოლო ადამიანის უსაფრთხოება და განვითარება მისი ეროვნული უსაფრთხოების ჩარჩოს ცენტრში განათავსა.
2. განსხვავებული შეხედულებებისა და ღირებულებების მქონე სხვასხვა რასის ქალები ერთად აყალიბებდნენ ხედვასა და პროცესს, რომლითაც ადამიანების უსაფრთხოება სახელმწიფოს პრიორიტეტი გახდა.
3. მთელი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელმა ქალებმა ერთობლივად მოახერხეს 50% წარმომადგენლობის მოთხოვნა 1994 წლის არჩევნებისათვის და პარლამენტში ადგილების 28% მიიღეს. ისინი კვლავაც ხელს უწყობენ მოსახლეობის მონაწილეობას პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში და ადამიანების უსაფრთხოების ყველაზე ძლიერი დამცველები არიან.
4. უსაფრთხოების დაწესებულებებში აღიაებულია, რომ ქალები:
 - ა. პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი პერსპექტივის შემომტანები არიან.
 - ბ. როგორც უსაფრთხოების ზალების წევრებს, დადებითი ზეგავლენა აქვთ.
 - ც. მშვიდობისა და უსაფრთხოების აღმშენებლობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.
5. უსაფრთხოების სექტორის ტრანსფორმაცია არასრული იქნებოდა, თუ არ მოხდებოდა ინსტიტუციური კულტურის ცვლილება. გენდერული დისკრიმინაციის, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის გადალახვა ტრანსფორმაციის უმთავრესი ინდიკატორია.

!! გენდერული საკითხების ჩართვის შესაძლებლობები და მითითებები

- ხელი შეუწყვეთ „ეროვნული უსაფრთხოების“ ცნების შესახებ ფართომასშტაბიანი დებატების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით კი გენდერული ძალადობის კუთხით.
- გახსოვდეთ და მზად იყავით შესაბამისად იმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკა, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, შეიცვლება და დაიწყება მისი საჯაროდ განხილვა.
- ითანამშრომლეთ დონორ ორგანიზაციებთან და გაუწიეთ მონიტორინგი, რათა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის პროცესი გენდერულად სენსიტიური იყოს და მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოებრივ ზედამხედველობას.
- შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებითა და სხვა სახით დაეხმარეთ სხვა ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის უნარების გაძლიერება.
- გამოიყენეთ არსებული მექანიზმები უსაფრთხოების სექტორისგან ეფექტური ზედამხედველობის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მისაღებად.